ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
იურიდიული ფაკულტეტი

სამართლის სამაგისტრო პროგრამის მაგისტრანტის

თამარი კვერნაძე

სამაგისტრო ნაშრომი

თემაზე: მესაკუთრესა და არაუფლებამოსილ მფლობელს შორის ურთიერთობა

ნაშრომი წარმოდგენილია მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი - გიორგი რუსიაშვილი

თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის სამართლის დოქტორი

თბილისი
2019 წელი.

სარჩევი

1. შესავალი 4
2. საკუთრება, როგორც უფლებამოსილი მესაკუთრის ფუნდამენტური უფლება 5
3. მფლობელობის არსი და წინაპირობები 8
3.1. ერთპიროვნული მფლობელობა და თანამფლობელობა 9
3.2. საკუთარი და სხვისი ნივთის მფლობელობა 10
3.3. მართლზომიერი და არამართლზომიერი მფლობელობა 11
3.4. პირდაპირი და არაპირდაპირი მფლობელობა 12
3.5. ინდივიდიუალური და საერთო მფლობელობა 14
4. არაუფლებამოსილი კეთილსინდისიერი მფლობელი 15
4.1. არაუფლებამოსილი კეთილსინდისიერი მფლობელის ნივთის დაბრუნების ვალდებულება და უფლება ნაყოფზე 16
4.2. კეთილსინდისიერი მფლობელის მიერ უფლებამოსილი პირისადმი გაუმჯობესებისა და დანახარჯების მოთხოვნის უფლება 18
4.3. მფლობელის ბრალით მიუღებელი ნაყოფის ღირებულების გაქვითვის უფლება. 21
4.4. კეთილსინდისიერი მფლობელის მიერ ნივთის დაკავების უფლება 22
5. მესაკუთრესა და არაუფლებამოსილ მფლობელს შორის ურთიერთობა 25
5.1. არაუფლებამოსილი მფლობელის ვალდებულებები, ნივთისა და ნაყოფის დაბრუნების იძულებითი საშუალებების ზოგადი მიმოხილვა 25
5.2. ხანდაზმულობა, როგორც მოთხოვნის უფლების განხორციელების პერიოდი 27
5.3. არაუფლებამოსილი მფლობელის ვალდებულებებთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკა 29
6. უსაფუძვლო გამდიდრება არაუფლებამოსილ მფლობელთან მიმართებით 31
6.1. შესრულების კონდიქცია 34
6.2. ხელყოფის კონდიქცია 36
7. ვინდიკაციური მოთხოვნა, როგორც უფლებამოსილი მესაკუთრის უფლება და მისი მოკლე მიმოხილვა, უცხოური სამართლის მიხედვით 39
8. ნეგატორულ სარჩელთან დაკავშირებული ასპექტები 43
9. მესამე პირის მიერ ნივთის სხვისთვის გადაცემის სამართლებრივი შედეგები 45
10. ვინდიკაციისა და კონდიქციის ურთიერთმიმართება და კონკურენცია 48

11. დასკვნა..... 51
12. ლიტერატურა 53

აბრევიატურები:

სუსგ- საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება;
სსკ- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
BGB- გერმანიის სამოქალაქო კოდექსი.

1. შესავალი

მესაკუთრესა და არაუფლებამოსილ მფლობელს შორის ურთიერთობა_ეს არის საკითხი, რომლის სიღრმისეული შესწავლა და ანალიზი მნიშვნელოვან როლს თამაშობს პრაქტიკაში, იგი წარმოადგენს მეტად ყურადსაღებ სამართლებრივ ინსტიტუტს და ამ ურთიერთობით რეგულირდება ურთიერთობის მონაწილეთა სამართლებრივი ბედი.

მესაკუთრესა და არაუფლებამოსილ პირს შორის ურთიერთობის განხილვა საკმაოდ აქტუალურია, აქტუალურობას ჰპოვებს იგი, როგორც თეორიული, ისე_პრაქტიკული თვალსაზრისითაც. აღნიშნული ურთიერთობა საკმაოდ საინტერესო და მრავალი საკითხის, დეტალის მომცველია, რომელთა ანალიზი და სიღრმისეულად წვდომა აუცილებელია მოცემული სამართლებრივი ურთიერთობის სწორად წარმართვისათვის. მესაკუთრესა და არაუფლებამოსილ პირს შორის ურთიერთობებზე ასევე ფართო მასშტაბით მოიპოვება სასამართლო პრაქტიკა, ამ ურთიერთობის სწორი რეგულირება აუცილებელია, რათა ჩამოყალიბდეს პროგნოზირებადი და სწორი პრაქტიკა, აღნიშნულ საკითხთან მიმართებით და ასევე არაუფლებამოსილ მფლობელს ჰქონდეს ზუსტი წარმოდგენა იმ საკითხზე, თუ რა შეიძლება მოჰყვეს არამართლზომიერ ქმედებას და ამდენად, მოხდეს არამართლზომიერი ქმედების პრევენცია.

ნაშრომი შეეხება მესაკუთრესა და არაუფლებამოსილ პირს შორის ურთიერთობას, ამასთან, ყურადღება არის გამახვილებული ასეთი ურთიერთობის თითოეულ ტიპსა და სამართლებრივ შემთხვევაზე, მათს სამართლებრივ რეგულირებაზე, სხვა ინსტიტუტებთან მსგავსებასა და განსხვავებაზე, საკითხის სიღრმისეულ ასპექტებზე, რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ კავშირშია ზემოთ აღნიშნულ ურთიერთობასთან. ნაშრომში ყურადღება არის გამახვილებული არაუფლებამოსილი მფლობელის ტიპებზე, კეთილსინდისიერი თუ არაკეთილსინდისიერი მფლობელის შემთხვევებზე, მათს უფლებებზე ნივთზე გაწეულ ხარჯთან მიმართებით, ასევე ნივთის ნაყოფზე, დეტალურად არის განხილული თითოეული შემთხვევა და შემთხვევებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც საკითხის უკეთ და სიღრმისეულად გარკვევაში გვეხმარება.

ნაშრომის მიზანია განსაზღვრა იმ ძირითადი და ამოსავალი პრინციპებისა, რომლებიც საფუძვლად უდევს მესაკუთრესა და არაუფლებამოსილ მფლობელს

შორის ურთიერთობას, ამასთან, მესაკუთრესა და არაუფლებამოსილ მფლობელს შორის ურთიერთობის მნიშვნელობისა და არსის გარკვევა, აღნიშნული სამართლებრივი ურთიერთობის ტიპების ერთმანეთისგან გამიჯვნა, რათა თითოეულ შემთხვევაში დადგეს განსხვავებული და სწორი სამართლებრივი შედეგი, კეთილსინდისიერი და არაკეთილსინდისიერი არაუფლებამოსილი პირის სამართლებრივი ბედის განსაზღვრა, ასევე გამოკვეთა იმ პრობლემური საკითხებისა, რომლებიც ამ სამართლებრივ ინსტიტუტთან არის დაკავშირებული. იმისათვის, რომ მიღწეული ყოფილიყო ზემოთ აღნიშნული მიზანი, გაცნობიერებულ-დამუშავებულ იქნა, როგორც ქართული, ისე_უცხოური იურიდიული ლიტერატურა და მათთან დაკავშირებული თეორიები და კანონმდებლობა, გაანალიზებულ იქნა სასამართლო პრაქტიკა და განხილულ იქნა იგი მოცემულ ნაშრომში.

2. საკუთრება, როგორც უფლებამოსილი მესაკუთრის ფუნდამენტური უფლება

საკუთრება არის ქონებაზე აბსოლუტური ბატონობის გამომხატველი უფლება. [1] საკუთრება პირის ნივთთან ურთიერთობის საფეხურით ყველაზე მაღლა მდგომი სამართლებრივი ინსტიტუტია. საკუთრების ამომავალი დებულება არის ის, რომ იგი, პირველ რიგში, განამტკიცებს მუდმივ, ურყევ მდგომარეობას, ამდენად, მასში უმთავრესია პირის ნივთთან ურთიერთობის ხასიათი და შინაარსი.[2]

საკუთრება ადამიანის ბუნებითი უფლებაა, იგი ადამიანს დაბადებიდანვე თან სდევს, მისი არსებობა დამოკიდებულია პირის უფლებაუნარიანობაზე, ხოლო რაც შეეხება უფლებაუნარიანობას, უფლებაუნარიანი არის ყველა ადამიანი, სახელმწიფო კი თავის კანონებში განამტკიცებს და გარანტირებულს ხდის ამ უფლებას, ამასთან, საკუთრებით სარგებლობა აუცილებლად საზოგადო სიკეთეს უნდა ემსახურებოდეს.[3]

სხვადასხვა ქვეყნის სამართალი იმით არის ერთმანეთისგან განსხვავებული, თუ რამდენად დაცულია მათს კანონმდებლობაში საკუთრების

[1] Puchta, Pandekten 1877, p.141.210.P.144; 216

[2] ზოიძე ბ. ქართული სანივთო სამართალი, თბილისი, 2003, გვ. 80

[3] Wolf M/Wellenhofer, Sachenrecht N 29, 2016, 23

უფლება.[4] საკუთრების აბსოლუტური ხასიათი არის გარანტია დაუსაბუთებელი ჩარევისაგან. უფლების ბუნებითობა იმას არ ნიშნავს, რომ არ შეიძლება ჩარევა ამ უფლებაში, ვინაიდან მესაკუთრემ, შესაძლოა, გადააჭარბოს თავისი უფლებების ფარგლებს.[5] აქედან გამომდინარე, საკუთრება არ არის აბსოლუტური უფლება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მესაკუთრეს შეუძლია, სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით(ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა თუკი ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას.

სანივთო სამართალში საკუთრება მიიჩნევა ძირითად უფლებად, საკუთრების უფლების საკანონმდებლო ცნებაზე დაყრდნობით, შესაძლებელია, გამოვყოთ ის ძირითადი ნიშნები, რომლებიც წარმოდგენას შეგვიქმნის საკუთრების უფლების სამართლებრივ ბუნებაზე.[6]

საკუთრების უფლების შინაარსი მოიცავს მესაკუთრის უფლებამოსილებას, ფლობდეს, სარგებლობდეს და განკარგავდეს ქონებას. საკუთრების უფლების ეს შინაარსი წარმოდგენას გვიქმნის საკუთრების უფლებამოსილების ფარგლებზე:

მფლობელობა_ეს უფლება განიხილება ნივთზე მესაკუთრის ფაქტობრივ ბატონობად, მესაკუთრეს აქვს უფლება, თავისუფლად ფლობდეს საკუთრების ობიექტს, მფლობელობა, როგორც ნივთზე ფაქტობრივი ბატონობა, უნდა განიხილებოდეს, როგორც სარგებლობისა და განკარგვის წინაპირობა.

სარგებლობა_ მესაკუთრის მირ საკუთრების ობიექტით თავისუფლად სარგებლობა ნიშნავს, როგორც პირადად სადგებლობას, ისე_მოგების მიღების მიზნით სარგებლობას. იმისდა მიხედვით, თუ რა შინაარსისაა სარგებლობა, სარგებლობის შინაარსი, შესაძლოა მოიცავდეს მრავალ ასპექტს.

განკარგვა_ეს არის საკუთრების უფლების შინაარსის მესამე ელემენტი და გულისხმობს მესაკუთრის მიერ ქონების იურიდიული ბედის გადაწყვეტას. ქონებაზე სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობები კი ითვალიწინებს, მესაკუთრის მსგავსად, ქონების ფლობისა და სარგებლობის შესაძლებლობას. [7] მესაკუთრის განკარგვის უფლებამოსილებაში იგულისხმება ქონების გასხვისება ან უფლებრივად

---

[4]ზოიძე ბ. ქართული სანივთო სამართალი, თბილისი, 2003, გვ. 85

[5]იქვე. გვ. 85-86

[6]კერესელიძე დ. კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ,,ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა,“ თბილისი, 2009, გვ. 220

[7]შოთაძე თ. სანივთო სამართალი, გამომცემლობა ,,მერიდიანი,“ თბილისი, 2014, გვ. 120-121

დატვირთვა. გასხვისებაში კი იგულისხმება მესაკუთრის ცვლილება. უფლებრივ დატვირთვაში უნდა იგულისხმებოდეს მესამე პირებისათვის ქონების სანივთო ან ვალდებულებითი უფლებების გადაცემა.[8] საკუთრების კეთილსინდისიერად მოპოვების წინაპირობას წარმოადგენს საკუთრების გადაცემა ნამდვილი სამოქალაქო გარიგების ფარგლებში. [9] საკუთრების კეთილსინდისიერების ფარგლებში გადაცემა ასევე შესაძლებელია კანონის საფუძველზე, რადგან აქ გარიგება საერთოდ არ არსებობს, ეს წინაპირობა ვრცელდება, როგორც მოძრავ, ისე_უძრავ ნივთებზე.[10]

გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი უფლებამოსილებებისა, მესაკუთრეს აქვს უფლება, მართოს საკუთრებაში არსებული ობიექტი, მართვის უფლებით ქონების გადაცემა უმეტესწილად ემსახურება მოგების მიღებას ან ქონების შენარჩუნებას. იმ შემთხვევაში, თუ მესაკუთრეს სურვილი არ აქვს ან ცოდნა არ ჰყოფნის საკუთრების ობიექტის მართვისა, მას შეუძლია, საკუთრების ობიექტი მართვის უფლებით გადასცეს საჭირო გამოცდილებისა და ცოდნის პირს. მაგალითისთვის შესაძლოა, მოყვანილ იქნას: თუკი პირს მემკვიდრეობით გადაეცემა აქციები, მას შეუძლია, რომ აქციების მართვის უფლება გადასცეს საბროკერო კომპანიას. შესაძლებელია აგრეთვე, რომ პირმა უძრავი ქონება, რომელიც მის საკუთრებაშია, გადასცეს ქონების მართვის ჯგუფს, რომელიც კონკრეტულ სფეროში ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე მართავს ქონებას და მოგების ნაწილს მესაკუთრეს გადასცეს, მართვა, როგორც კერძოსამართლებრივ ურთიერთობაზე დაყრდნობით წარმოშობილი კატეგორია, ვალდებულებითი უფლებაა.[11]

აქედან გამომდინარე, საკუთრება, როგორც კერძოსამართლებრივი უფლება, წარმოადგენს უზენაეს უფლებას და ყველა უფლება ნაწარმოებია მისი სამართლებრივი ხასიათიდან გამომდინარე, საკუთრების უფლების მქონე პირს შეუძლია, აწარმოოს ურთიერთობები სხვა სამართლებრივი უფლების მქონე პირებთან, ამასთანავე, მას, როგორც ურთიერთობის ნებისმიერ მონაწილეს გააჩნია უფლება, დაცულ იქნას არამართლზომიერი ქმედებისგან, რომელმაც, შესაძლოა, ხელი შეუშალოს მას ნივთის ჯეროვნად ფლობა, სარგებლობასა და განკარგვაში.

---

[8]შოთაძე თ. სანივთო სამართალი, გამომცემლობა ,,მერიდიანი,“ თბილისი, 2014; გვ. 120

[9]Wieling, Sachenrecht I, 2. Aufl., Berlin (u. a.) 2006, P. 10 II 1b

[10]რუსიაშვილი გ. სირდაძე ლ. ეგნატაშვილი დ. სანივთო სამართალი, თბილისი, 2019. გვ. 184

[11]შოთაძე თ. სანივთო სამართალი, გამომცემლობა ,,მერიდიანი,“ თბილისი, 2014; გვ. 122

3. მფლობელობის არსი და წინაპირობები

ქართული სამართალი იცნობს მფლობელობას, როგორც ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამართლებრივ ინსტიტუტს. მფლობელობა, ეს არის ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის განხორციელება, ამასთან, მფლობელობის ცნებისათვის მნიშვნელოვანი არ არის, ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის განხორციელების უფლება აქვს თუ არა_მფლობელს.

მფლობელობა, ეს არის სამართლებრივი წესრიგის მიერ აღიარებული ფაქტობრივი ბატონობა ქონებაზე.[12]იგი პირის ფაქტობრივი ნებითი ბატონობაა ნივთზე, [13] რაც თავის თავში პირისადმი ნივთის ბუნებრივ დამორჩილებას გულისხმობს. [14] შესაძლებელია, ასევე ქონებრივი უფლებების მფლობელობაც, ასეთ დროს ფაქტობრივი ბატონობა მფლობელობითი უფლებით სარგებლობით ვლინდება.[15]მფლობელი არის პირი, რომელიც ფაქტობრივად ბატონობს ნივთზე, ხშირ შემთხვევაში, ვინც ახორციელებს მფლობელობას, არის ამ ნივთის მესაკუთრე, მაგრამ არის შემთხვევები, როცა მფლობელი არ აღმოჩნდება მესაკუთრე. მაგალითად შესაძლოა, მოყვანილ იქნას ქურდი, რომელიც ნაქურდალ ნივთზე ახორციელებს ფაქტობრივ ბატონობას, თუმცა სრულადაც არ არის ნივთის მესაკუთრე. [16] პირი, რომელიც ახორციელებს ფაქტობრივ ბატონობას ნივთზე, მაგრამ არა თავის, არამედ_სხვა პირის სასარგებლოდ არ ითვლება მფლობელად, თუკი ამ პირს ფლობის უფლებამოსილება მინიჭებული აქვს ამ სხვა პირისგან, ხოლო უფლებამოსილების მიმნიჭებელი პირი მფლობელად ითვლება.

მფლობელობა, მოქმედ სამართალზე დაყრდნობით, გატანილია საკუთრების უფლების ცნებიდან და ქონების ცნების შემდეგ განიხილება. ვინაიდან მფლობელობა არის ფაქტი, ამ ფაქტის მიღმა ხშირად სხვა სანივთო უფლებები იმალება, მფლობელობა, მის მიღმა მდგარი უფლების გარეშე, რჩება, როგორც ნივთზე „შიშველი“ ბატონობის ფაქტი, ამასთან, მფლობელობის ვარაუდი გამოიყენება მხოლოდ მოძრავ ნივთებთან მიმართებით, ხოლო რაც შეეხება უძრავ ნივთებს, გამოვდივართ რა რეესტრის სისწორის

---

[12] Bassenge, Palandt, BGB, 2008, p.854, Rdnr. 1.

[13]თოთლაძე ლ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, gccc.ge თბილისი, 2018, 31

[14]ქოჩაშვილი ქ. მფლობელობა და საკუთრება- ფაქტი და უფლება სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 2013, გვ. 17

[15] ABGB-Kommentar, 2007, P. 313.

[16]ზარანდია თ. სანივთო სამართლის საფუძვლები, გამომცემლობა ,,საქართველოს მაცნე“ თბილისი, 2016 გვ. 36

პრეზუმფციიდან, მესაკუთრე გამოვლინდება საჯარო რეესტრიდან, ამ განსხვავებას განაპირობებს მოძრავ და უძრავ ნივთებზე წარმოშობილი საკუთრების განსხვავებული რეჟიმი, თუკი მოძრავი ნივთის შესაძენად საკმარისია მხოლოდ ფაქტი ნივთის ერთი ადამიანის ხელიდან მეორე ადამიანის ხელში გადაცემისა, უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია საჯარო რეესტრში რეგისტრაცია, აქედან გამომდინარე, მოძრავი ნივთის შემძენს ნივთის შეძენისას სხვა გზა არ დარჩენია, გარდა იმისა, რომ მესაკუთრის კეთილსინდისიერებას ენდოს. რომ არ არსებობდეს მფლობელისადმი ნდობა, იმ შემთხვევაში, თუკი შემძენს გაუჩნდება ეჭვი, არის ვარაუდი იმისა, რომ მან ვერც კი შეძლოს ნივთზე საკუთრების უფლების დამტკიცება იმის გამო, რომ არ არსებობდეს არანაირი საბუთი იმის დასამტკიცებლად, რომ ნივთი ნამდვილი უფლების საფუძველზე არის გაცემული.[17] აქედან გამომდინარე, მფლობელობის ინსტიტუტი საკმაოდ მერყევ ხასიათს ატარებს კერძო სამართალში, ვინაიდან და რადგანაც რთულია, დანამდვილებით განსაღვრო მფლობელის მართლზომიერება და კეთილსინდისიერება, რაც მოძრავი ნივთების ფლობის შემთხვევაში, მთელი თავისი ასპექტით იჩენს თავს და, ხშირ შემთხვევაში, საკმაოდ დიდ პრობლემას წარმოადგენს სოციუმისათვის.

3.1. ერთპიროვნული მფლობელობა და თანამფლობელობა

თანახმად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 155-ე მუხლის მე-4 ნაწილისა, თუ ერთ ნივთს რამდენიმე პირი ერთობლივად ფლობს, ისინი ითვლებიან თანამფლობელებად, ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი ერთი პირი ნივთს ერთპიროვნულად ფლობს, იგი ერთპიროვნულ მფლობელად მიიჩნევა.[18] ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ სოლიდარული და უბრალო თანამფლობელობა. თუ რამდენიმე პირს აქვს შესაძლებლობა, ნივთი მხოლოდ ერთობლივად გამოიყენოს, მაშინ სახეზე გვაქვს სოლიდარული თანამლობელობის ფაქტი, ასეთი თანამფლობელობა არ მოითხოვს თანაზიარი გაერთიანების არსებობას.[19] ამასთან, არსებობს მარტივი და კვალიფიციური თანამფლობელობა, მარტივი თანამფლობელობის შემთხვევაში, ნივთზე ფაქტობრივ ბატონობას ახორციელებს თითოეული თანამფლობელი ცალ-

[17]ზოიძე ბ. ქართული სანივთო სამართალი, თბილისი, 2003; გვ. 15-17
[18] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 155
[19]ზარანდია თ. სანივთო სამართლის საფუძვლები, გამომცემლობა ,,საქართველოს მაცნე,“ თბილისი, 2016 გვ. 172

ცალკე, მაგალითად, როგორიცაა ლიფტი, საერთო სამრეცხაო, ხოლო რაც შეეხება კვალიფიციურ თანამფლობელობას, ასეთ შემთხვევაში, ნივთზე ბატონობის განხორციელება შესაძლებელია, მხოლოდ ყველა თანამფლობელის მიერ ერთობლივად, მაგალითად, ნივთის პირდაპირი მფლობელი ახორციელებს ნივთზე ბატონობას რამდენიმე არაპირდაპირი მფლობელის სასარგებლოდ.[20] ამასთან, თანამფლობელებს ერთმანეთის მიმართ შეუძლიათ, მოითხოვონ მფლობელობის დაცვა, თუკი მფლობელობის ხელშეშლა სცდება თითოეული თანამფლობელისთვის მინიჭებულ ზღვარს, მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ სხვა თანამფლობელის ნივთზე ბატონობიდან მთლიანად გამორიცხვა, ამასთან თითოეულ თანამფლობელს მესამე პირებთან მიმართებით, შეუძლიათ, მოითხოვონ მფლობელობის ხელშეშლის აღკვეთა, მაგრამ მხოლოდ თანამფლობელობის მინიჭების მოთხოვნით.[21]

ამასთან, თანამფლობელობის ინსტიტუტთან მიმართებით, შესაძლოა, ითქვას ისიც, რომ მოძრავი ან უძრავი ნივთის ცალკეული ნაწილების მფლობელობა იმ შემთხვევაში არის შესაძლებელი, თუკი ამავე ნივთის ნაწილები ერთმანეთისგან გამოყოფილია[22], ეს თავის თავში არამც და არამც არ ნიშნავს თანამფლობელობას, ვინაიდან და რადგანაც ნივთის ნაწილები შეადგენს ცალკე ერთეულებს, მაგალითად, ასეთ შემთხვევად შეგვიძლია, მოვიყვანოთ საცხოვრებელ კორპუსში ბინების მესაკუთრეები, ისინი აღიქმებიან ერთი უძრავი ნივთის ცალკეული დამოუკიდებელი ნაწილის ერთპიროვნულ მესაკუთრეებად და არ შეიძლება, განვიხილოთ ისინი, როგორც თანამფლობელები, ვინაიდან ეს სამართლებრივ ქაოსს გამოიწვევდა, ამ ინსტიტუტთან მიმართებით.

3.2. საკუთარი და სხვისი ნივთის მფლობელობა

პირი, შესაძლოა, ნივთს ფლობდეს, როგორც თავისთვის, ისე_სხვისთვის. განსხვავება მათ შორის არის ის, რომ მფლობელის ნება, ამ ნივთთან მიმართებით, არის განსხვავებული.[23] პირველ შემთხვევაში, პირი ნივთს ფლობს თავისთვის, ხოლო მეორე შემთხვევაში, პირი ფლობს სხვის ნივთს. ნივთის

---

[20]თოთლაძე ლ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, gccc.ge თბილისი, 2018, 43

[21]იქვე, გვ. 43

[22] Bassenge, in Palandt BGB Kommentar, 63. Aufl, 865, Rn. 1

[23]ზარანდია თ. სანივთო სამართლის საფუძვლები, გამომცემლობა ,,საქართველოს მაცნე“ თბილისი, 2016, გვ. 174

საკუთრად ფლობის განზრაზვას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც მფლობელი ისეთ დამოკიდებულებაშია ნივთთან მიმართებით, როგორც_საკუთართან.[24]

3.3. მართლზომიერი და არამართლზომიერი მფლობელობა

ქართულ სანივთო სამართალში მფლობელობის მართლზომიერება განისაზღვრება პირის კეთილსინდისიერების საფუძველზე. მფლობელობა იმ შემთხვევაშია მართლზომიერი, თუ პირს ნივზე ფაქტობრივი ბატონობა მართლზომიერად წარმოეშვა, მართლზომიერად წარმოშობაში იგლიუსხმება მფლობელობის მოპოვება მესაკუთრისგან ან უფლებამოსილი პირისგან. მფლობელობის დადგენა შესაძლებელია გულმოდგინე შემოწმებიდან გამომდინარე. როცა მფლობელობას განიხილავენ საკუთრების ან სხვა უფლების ელემენტად, ამ უფლების კანონიერი გზით წარმოშობა განაპირობებს უფლების ობიექტზე მფლობელის მართლზომიერებას. [25] როდესაც სახეზე გვაქვს მფლობელობა უფლების გარეშე, ამ შემთხვევაში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სუბიექტის კეთილსინდისიერებასა და ნივთზე ბატონობის სამართლებრივ საფუძველს, კეთილსინდისიერება, როგორც მფლობელობის კრიტერიუმი მხედველობაში მიიღება არამართლზომიერი მფლობელობის შემთხვევაშიც კი.

რაც შეეხება არამართლზომიერი მფლობელის ცნებას, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ცალკე არ აყალიბებს მას. არამართლზომიერი მფლობელი შეიძლება იყოს როგორც ქურდობის ჩამდენი პირი, ისე_ კეთილსინდისიერი მფლობელი ან პირი, რომელსაც ნივთზე მფლობელობა არაუფლებამოსილი პირისგან გადაეცა. არამართლზომიერია მფლობელი, რომელიც ნივთს სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, კერძოდ კანონის ან მესაკუთრის ნების გარეშე ფლობს. არამართლზომიერ მფლობელს არამარტო ფლობის სამართლებრივი საფუძველი გააჩნია, არამედ ქონებაზე საკუთრების უფლების მოპოვების შესაძლებლობა არ აქვს. [26] პირს მართლზომიერი მფლობელობა ანიჭებს შემდეგი სახის უპირატესობას, კერძოდ, მართლზომიერი მფლობელობის განმავლობაში მფლობელისათვის ნივთის ჩამორთმევა დაუშვებელია თვით ნივთის მესაკუთრისგანაც, მფლობელის კუთვნილებად

[24]ქოჩაშვილი ქ. მფლობელობა და საკუთრება- ფაქტი და უფლება სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 2013; გვ.153

[25]შოთაძე თ. სანივთო სამართალი, გამომცემლობა ,,მერიდიანი,“ თბილისი, 2014; გვ. 94

[26]იქვე. გვ. 96

ითვლება მართლზომიერი მფლობელობის განმავლობაში ნივთისა და უფლების ნაყოფი.[27]

აქედან გამომდინარეობს ის, რომ მართლზომიერი მფლობელი არის, როგორც მესაკუთრე, ისე_ყველა ის ადამიანი, რომელთა მფლობელობაც ნაწარმოებია მესაკუთრის მფლობელობიდან, მართლზომიერი მფლობელი დაცულია თვითნებობისგან თავად მესაკუთრის მხრიდანაც. ამასთან, მართლზომიერ მფლობელს კანონი ანიჭებს სხვა უფლებამოსილებებსაც, მაგალითად, მართლზომიერი მფლობელობის განმავლობაში მიღებული ნაყოფი და სარგებელი ეკუთვნის მფლობელს. [28] მოძრავი ნივთის შემთხვევაში, სარგებელი გამოითვლება სადგებლობის დაწყებამდე და დამთავრების შემდეგ ღირებულებათა თანაფარდობით. [29] რაც შეეხება უძრავ ნივთს, სარგებელი გამოითვლება მსგავსი ნივთის ქირავნობის ფასი. ეს იმით არის გამართლებული, რომ უძრავი ქონების ღირებულება დროში, როგორც წესი, არ მცირდება.[30] რაც შეეხება არამართლზომიერ მფლობელობას, ის, როგორც კერძო სამართლის ცნება, საკმაოდ რთული ინსტიტუტია და მის მიღმა, შესაძლოა, მრავალი ფაქტორი იმალებოდეს, შესაბამისად, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებს დიდი დაფიქრება მართებთ მართლზომიერი მფლობელის არამართლზომიერი მფლობელისაგან გასამიჯნად.

3.4. პირდაპირი და არაპირდაპირი მფლობელობა

პირდაპირი მფლობელობა ვლინდება ნივთის უშუალო ფლობაში, ხოლო არაპირდაპირი მფლობელობა საკუთრების უფლებიდან მაშინ გამომდინარეობს, როდესაც ნივთი სხვა პირის პირდაპირ მფლობელობაში იმყოფება.[31]თანახმად საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსისა, მფლობელობა გათვალისწინებულია მხოლოდ ხანდაზმულობით საკუთრების უფლების მოპოვების ჭრილში. [32] ვინაიდან მფლობელობა არის ფაქტი, ამ ფაქტთან მიმართებით, შესაძლებელია ორი სხვადასხვა დონის მფლობელობა, კერძოდ, პირდაპირი და არაპირდაპირი. სიტყვა ,,მფლობელობა", ჩვეულებრივ, პირდაპირი მფლობელობის ასოციაციას იწვევს, ვინაიდან პირდაპირ მფლობელობაში

[27] შოთაძე თ. სანივთო სამართალი, გამომცემლობა ,,მერიდიანი," თბილისი, 2014; გვ. 96
[28]ზოიძე ბ. ქართული სანივთო სამართალი, თბილისი,2003, გვ. 75
[29] BGH NJW 1991, 2484
[30] Stresemann, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl 2015 p.100.Rn.11-12
[31] BGB Paragraph 868
[32] Coing, Europaisches Privatrecht 2, 19, Jahrhundert 1985 P. 68, 379

ნივთზე ფაქტობრივი ბატონობა პირდაპირ არის რეალიზებული და პირდაპირი მფლობელი არის ნივთთან პირდაპირ დაკავშირებული, ხოლო რაც შეეხება არაპირდაპირ მფლობელს, მას არ აქვს ნივთთან პირდაპირ წვდომა, მის სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილეობს მესამე პირი, კერძოდ პირდაპირი მფლობელი და ის ახორციელებს ნივთზე ფაქტობრივ ბატონობას.[33]

მესაკუთრე, რომელიც სამართლებრივ ურთიერთობაზე დაყრდნობით, მხარეს საკუთრების ობიექტზე უფლებას გადასცემს, ინარჩუნებს არაპირდაპირ მფლობელობას.[34]

მაგალითისთვის, დამქირავებელი, რომელიც გამქირავებელს ნივთის მესაკუთრედ ცნობს, წარმოადგენს პირდაპირ მფლობელს დამქირავებლისთვის, იგი უძრავ ქონებას გარკვეული დროით გარკვეული მიზნებისთვის იყენებს და შემდგომში აბრუნებს მას. აქედან გამომდინარე, მისი მფლობელობის განხორციელება შეზღუდულია, ვინაიდან დამქირავებელს რჩება ნივთზე ზემოქმედების სხვა შესაძლებლობები. მაგალითად, დამქირავებლის მიერ მოვალეობის არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, გამქირავებელს უფლება აქვს, შეახსენოს დამქირავებელს ამის თაობაზე, შემდგომში კი უკვე მოითხოვოს ნივთის უკან დაბრუნება. [35] დამქირავებელი, ამ შემთხვევაში, პირდაპირპროპორციულად არის დამოკიდებული დამქირავებლის სურვილზე, ვინაიდან და რადგანაც დამქირავებლის ნებით მიენიჭა მას კონკრეტულ ნივთზე მფლობელობა.[36]

არამართლზომიერი მფლობელობის ორი სახე არსებობს, კერძოდ, კეთილსინდისიერი და არაკეთილსინდისიერი მფლობელობა.

მფლობელობის ფაქტის არამართლზომიერება განაპირობებს, როგორც კეთილსინდისიერი, ისე არაკეთილსინდისიერი მფლობელის მიმართ ნივთის დაბრუნების მოთხოვნის წარდგენას. არ აქვს მნიშვნელობა იმ ფაქტს, არამართლზომიერი მფლობელობა მოპოვებული იქნა სასყიდლიანი თუ უსასყიდლო გზით, ორივე ტიპის არამართლზომიერ მფლობელს ეკისრება ნივთის დაბრუნების ვალდებულება, მიუხედავად ამისა, კეთილსინდისიერ მფლობელს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 163[37]-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, უფლება აქვს, დააკავოს ნივთი მანამ, სანამ უფლებამოსილი პირი

---

[33] ზარანდია თ. სანივთო სამართლის საფუძვლები, გამომცემლობა ,,საქართველოს მაცნე", თბილისი, 2016 გვ. 177-178

[34]Wolf wellenhofer sachenrecht, P. 4 Rn. 20

[35]ზარანდია თ. სანივთო სამართლის საფუძვლები, ,,საქართველოს მაცნე" თბილისი, გვ. 178-179

[36]Wolf wellenhofer sachenrecht, P. 4 Rn. 21

[37] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 163

აანაზღაურებს ნივთზე გაწეულ ხარჯებს. ეს წესი არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუკი არამართლზომიერ კეთილსინდისიერ მფლობელს ნივთზე მფლობელობა უსასყიდლო გზით აქვს მოპოვებული, მაგალითისთვის, თუ ნივთის გადაცემის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს ჩუქების ხელშეკრულება, რომელიც მოგვიანებით ბათილად იქნა ცნობილი, გარიგების ბათილობის მომენტიდან პირი ვალდებულია, უფლებამოსილ პირს ნივთი უპირობოდ დაუბრუნოს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 163-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ვიდრე უფლებამოსილი პირი არ გამოიყენებს ნივთის დაბრუნების მოთხოვნის უფლებას, ნივთისა და უფლების ნაყოფი ეკუთვნის არამართლზომიერ

როგორც კეთილსინდისიერ, ამავდროულად, არაკეთილსინდისიერ მფლობელს ეკისრება, როგორც ნივთის, ისე_უფლების ნაყოფის დაბრუნების მოვალეობა უფლებამოსილი პირისათვის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 164-ე მუხლის თანახმად.[38]

3.5. ინდივიდიუალური და საერთო მფლობელობა

ნივთზე ფაქტობრივ მფლობელობას, შესაძლოა, ახორციელებდეს, ერთი პირი, ამ შემთხვევაში სახეზე გვაქვს ინდივიდუალური მფლობელობა, ხოლო თუკი ნივთზე მფლობელობას ორი ან რამდენიმე პირი ახორციელებს, სახეზე გვაქვს საერთო მფლობელობა.

საერთო მფლობელობა, თავის მხრივ, იყოფა ორ ნაწილად, კერძოდ: თანაზიარ და წილად მფლობელობად. თანაზიარი მფლობელობისას იკვეთება პირების ნივთთან ფაქტობრივი კავშირი თანაც ისე, რომ მათ შორის არ არის განსაზღვრული ინდივიდუალური მფლობელობის ფარგლები. მაგალითისთვის, კანონისმიერი მემკვიდრეობის გზით სამკვიდროს მიღების დროს სამკვიდროს გახსნიდან 6 თვის განმავლობაში მემკვიდრეები სამკვიდრო ქონების თანამფლობელებად ითვლებიან ისე, რომ მათს სამკვიდრო მასაში შემავალ ნივთებზე ინდივიდუალური ან წილობრივი მფლობელობა არ განისაზღვრება, ხოლო რაც შეეხება წილად მფლობელობას, თითოეული მფლობელისათვის წინასწარ ცნობილია ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის განხორციელების ფარგლები, მაგალითისთვის, შეიძლება, მოვიყვანოთ ანდერძის შემთხვევა, თუ ანდერძით დადგენილია სამკვიდრო მასაში

[38]შოთაძე თ. სანივთო სამართალი, გამომცემლობა ,,მერიდიანი,“ თბილისი, 2014; გვ.164

მემკვიდრეთა წილი, მემკვიდრეები ითვლებიან წილობრივ თანამფლობელებად.[39]

4. არაუფლებამოსილი კეთილსინდისიერი მფლობელი

არაუფლებამოსილი კეთილსინდისიერი მფლობელის ინსტიტუტი საკმაოდ მნიშვნელოვან სამართლებრივ ინსტიტუტს წარმოადგენს, მასში მოიაზრება კეთილსინდისიერი მფლობელი, რომელიც, მიუხედავად კეთილსინდისიერებისა, წარმოადგენს არაუფლებამოსილ პირს სამართლებრივ ურთიერთობაში. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 163-164 მუხლებით მოწესრიგებულია უფლებამოსილ პირსა და მფლობელს შორის ურთიერთობა, ამ მუხლებით მოწესრიგებულია ის ერთმანეთს შეპირისპირებული მოთხოვნები, რომლებიც მათ ერთმანეთთან მიმართებით, აქვთ. ამ ნორმათა მსგავს ნორმად მიჩნეულია გსკ-ს 987[40]-ე და მომდევნო პარაგრაფები, თუმცა, განსხვავებით ქართულისაგან, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი ეხება მხოლოდ და მხოლოდ მესაკუთრესა და მფლობელს შორის წარმოშობილ ურთიერთობას, განსხვავებით გერმანიისაგან, საქართველომ განსხვავებული აქცენტი გააკეთა არა მესაკუთრეზე, არამედ_უფლებამოსილ პირზე, რითაც მოიცვა ურთიერთობები არაუფლებამოსილ და უფლებამოსილ მფლობელს შორის.[41]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 59 [42] -ე მუხლის თანახმად, კეთილსინდისიერია მფლობელი, რომელიც ნივთს მართლზომიერად ფლობს, ან რომელიც უფლებამოსილ პირად შეიძლება იქნეს მიჩნეული საქმიან ურთიერთობებში საჭირო გულმოდგინე შემოწმების საფუძველზე. მართლზომიერი მფლობელი ყოველთვის ითვლება კეთილსინდისიერ მფლობელად, რადგან მართლზომიერი მფლობელი არის პირი, რომელიც სამართლებრივი საფუძვლით ახორციელებს ნივთზე ფაქტობრივ ბატონობას, აქედან გამომდინარე, მართლზომიერი მფლობელობა მიუთითებს ობიექტურ ფაქტორებზე, რაც მდლობელობის სამართლებრივი საფუძვლის არსებობაში ვლინდება, რაც შეეხება კეთილსინდისიერებას, იგი სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით შეიცავს სუბიექტურ ელემენტს, კერძოდ: პირის დამოკიდებულებას ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით, მართლზომიერი

[39]შოთაძე თ. სანივთო სამართალი, გამომცემლობა ,,მერიდიანი,“ თბილისი, 2014; გვ. 98-99
[40] BGB-Paragraph 987
[41]რუსიაშვილი გ. სირდაძე ლ. ეგნატაშვილი დ. სანივთო სამართალი, თბილისი, 2019, გვ. 29
[42] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 59

მფლობელია მესაკუთრე და ის პირები, რომელთა მფლობელობა საკუთრების უფლებიდან არის წარმოქმნილი. [43] რაც შეეხება არაუფლებამოსილ კეთილსინდისიერ მფლობელობას, კეთილსინდისიერი მფლობელი, შეიძლება, იყოს არამართლზომიერი მფლობელი, თუ არ არსებობს სამართლებრივი საფუძველი მფლობელობისა და პირს კონკრეტულ გარემოებებთან მიმართებით, არ შეეძლო, გაეცნობიერებინა მფლობელობის არამართლზომიერება. [44] აქედან გამომდინარე, არამართლზომიერი კეთილსინდისიერი მფლობელი არის პირი, რომელიც, მართალია, ნივთს არამართლზომიერად ფლობს და ამის არანაირი სამართლებრივი საფუძველი არ აქვს, თუმცა, მან არ იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა ნივთის არამართლზომიერად ფლობის შესახებ, მაგალითისთვის, თუკი პიროვნებამ იყიდა მიპარული ნივთი ყიდვა-გაყიდვის ადგილზე, მას არ შეიძლება სცოდნოდა, რომ ნივთი მესაკუთრის მფლობელობიდან არამართლზომიერი გზით გავიდა, შესაბამისად, იგი ითვლება თუმცა კეთილსინდისიერ, თუმცა_არამართლზომიერ მფლობელად.

4.1. არაუფლებამოსილი კეთილსინდისიერი მფლობელის ნივთის დაბრუნების ვალდებულება და უფლება ნაყოფზე

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, სხვადასხვაგვარად წესრიგდება არაუფლებამოსილი კეთილსინდისიერი მფლობელის მიერ ნივთის დაბრუნების ბედი. შესაძლოა, პირი იყოს კეთილსინდისიერი, თუმცა მაინც ჰქონდეს ვალდებულება, მესაკუთრეს დაუბრუნოს ნივთი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 163 [45] -ემუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, კეთილსინდისიერი მფლობელი, რომელსაც თავიდანვე არ ჰქონია ნივთის ფლობის უფლება ან დაკარგა ეს უფლება, ვალდებულია, დაუბრუნოს ნივთი უფლებამოსილ პირს.

კეთილსინდისიერი მფლობელისადმი ნივთის დაბრუნების ვალდებულება მესაკუთრეს წარმოეშობა იმ შემთხვევაში, თუ მფლობელს თავიდანვე არ ჰქონდა ნივთის ფლობის უფლება ან მან დაკარგა ეს უფლება, აქედან გამომდინარე, სახეზე გვაქვს არამართლზომიერი მფლობელობის შემთხვევები, მაგალითისთვის, ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, პირი ახორციელებს

[43]სუსგ 2015 წლის 14 აგვისტო ას-948-910-2014

[44]თოთლაძე ლ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, gccc.ge თბილისი, 2018; 53-54

[45] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 163

მფლობელობას, არ არის ნამდვილი ან იგი ბათილად იქნა ცნობილი ნივთის მფლობელისათვის გადაცემის შემდეგ.[46]
უზენაესმა სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 163-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, განმარტა, რომ კეთილსინდისიერი მფლობელი, რომელსაც თავიდანვე არ ჰქონია ნივთის ფლობის უფლება ან დაკარგა ეს უფლება, ვალდებულია, დაუბრუნოს ნივთი უფლებამოსილ პირს, ვიდრე უფლებამოსილი პირი არ გამოიყენებს თავის ამ უფლებას, ნივთისა და უფლების ნაყოფი ეკუთვნის მფლობელს. განსახილველი ნორმით განსაზღვრული იყო არაუფლებამოსილი კეთილსინდისიერი მფლობელის უფლება მოვალეობები, ანუ, მფლობელის, რომელსაც თავიდანვე არ ჰქონია ნივთის ფლობის უფლება ან დაკარგა ეს უფლება. აღნიშნული დანაწესი კი იმაზე მიუთითებს, რომ არაუფლებამოსილი კეთილსინდისიერი მფლობელი, თავის მხრივ, წარმოადგენდა არამართლზომიერ მფლობელს, ანუ პირს, რომელსაც არ გააჩნია მფლობელობის სამართლებრივი საფუძველი, მითითებული წინაპირობის არსებობის შემთხვევაში, უფლებამოსილ პირს უფლება აქვს, გამოითხოვოს უკანონო მფლობელობიდან ნივთი.[47]

არამართლზომიერი მფლობელის მიერ ნივთის დაბრუნების საკითხი განსხვავებულად წყდება ნივთიდან მიღებულ ნაყოფთან დაკავშირებით, კანონმდებელი განასხვავებს კეთილსინდისიერი და არაკეთილსინდისიერი მფლობელის უფლებრივ მდგომარეობას, კერძოდ, მანამ, სანამ უფლებამოსილი პირი არ გამოიყენებს ნივთის დაბრუნების მოთხოვნის უფლებას, ნივთისა და უფლების ნაყოფი ეკუთვნის კეთილსინდისიერ მფლობელს.[48]

რაც შეეხება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 979 [49] -ე მუხლს, ამ მუხლის თანახმად, სარგებელზე, შეძენილზე და სხვა ნებისმიერ შენაძენზე, რაც შეძენილ იქნა საგნის დაზიანების ან განადგურების შედეგად, ვრცელდება უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლება, რაც შეეხება კეთილსინდისიერ მფლობელს, რომელიც ამავდროულად არის არამართლზომიერი, მისი პასუხისმგებლობის ასპექტები არის განსხვავებული, თუკი პირმა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის-ს 984-ე მუხლის თანახმად, არ იცოდა ხარვეზის შესახებ, იგი არ არის ვალდებული, დააბრუნოს უკან ის შემოსავალი, რაც მან ნივთის ფლობის განმავლობაში მიიღო.[50] აქედან გამომდინარე, პირმა, რომელმაც არ იცოდა და

[46]ჭეჭელაშვილი ზ. სანივთო სამართალი, 2010, გვ. 76
[47]სუსგ N ას-524-493-2012; 4 ოქტომბერი, 2012 წ.
[48]შოთაძე თ. სანივთო სამართალი, გამომცემლობა ,,მერიდიანი,“ თბილისი, 2014, გვ. 97
[49] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 979
[50]ჩაჩავა ს. მოთხოვნისა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია, 2011, გვ. 170

არც შეიძლება სცოდნოდა იმის შესახებ, რომ ნივთის სამართლებრივი სტატუსი არ ხდიდა მას მართლზომიერ მფლობელად, არ არის ვალდებული, დაუბრუნოს მესაკუთრეს ან მართლზომიერ მფლობელს ის მოგება-შემოსავალი, რომელიც მან, ნივთის კეთილსინდისიერად, თუმცა, არამართლზომიერად ფლობის განმავლობაში მიიღო.

ამ ყველაფრიდან გამომდინარე, არაუფლებამოსილ, თუმცა კეთილსინდისიერ მფლობელს აქვს უფლება, არ დააბრუნოს ის გაუმჯობესება, რაც მან, როგორც პირმა, რომელმაც არ იცოდა და არ შეიძლება, სცოდნოდა, მიიღო, თუმცა, რიგ შემთხვევებში, იგი ვალდებულია, უფლებამოსილ მესაკუთრეს უკან დაუბრუნოს ნივთი.

4.2. კეთილსინდისიერი მფლობელის მიერ უფლებამოსილი პირისადმი გაუმჯობესებისა და დანახარჯების მოთხოვნის უფლება

პირის კეთილსინდისიერება, ის სამართლებრივი ასპექტია, რომელიც ბევრ უპირატესობას ანიჭებს მას ურთიერთობის ფარგლებში, კოდექსი მაქსიმალურად იცავს კეთილსინდისიერ პირს და თითოეულ შემთხვევაში, სამართლიანობის პრინციპზე დაყრდნობით აძლევს მას ურთიერთობიდან მაქსიმალური სარგებლის მიღების საშუალებას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 163-ე მუხლის მე-2 ნაწილი აწესრიგებს შემდეგ დანაწესს: კეთილსინდისიერ მფლობელს შეუძლია, უფლებამოსილ პირს მოსთხოვოს იმ გაუმჯობესებისა და ხარჯების ანაზღაურება, რაც მან გაიღო ნივთზე კეთილსინდისიერი მფლობელობის დროს და რაც არ არის კომპენსირებული ამ ნივთით სარგებლობისა და მისგან მიღებული ნაყოფით. ამასთან, აღსანიშნავია შემდეგიც: მფლობელის ბრალით მიუღებელი ნაყოფის ღირებულება უნდა იქნეს გამოქვითული. ასეთივე წესი ვრცელდება ისეთ გაუმჯობესებებზე, რომელთა შედეგადაც გაიზარდა ნივთის ღირებულება. თუკი გაზრდილი ღირებულება ნივთის დაბრუნების მომენტისათვის ჯერ კიდევ არსებობდა.

კეთილსინდისიერ მფლობელს ნივთის დაბრუნების მოთხოვნის უფლებასთან ერთად ასევე შეუძლია, უფლებამოსილ პირს მოსთხოვოს ხარჯებისა და ნივთის გაუმჯობესების ანაზღაურება, ხარჯებში, რომლებიც ნივთის გაუმჯობესებისათვის იქნა გაწეული, იგულისხმება ის აუცილებელი ხარჯები, რომელთა გაწევის ვალდებულება ექნებოდა ნივთის მესაკუთრეს, მაგალითისთვის, ასეთ დანხარჯებად არის მიჩნეული ნივთის სუბსტანციისა და ვარგისიანობის შესანარჩუნებლად გაწეული ხარჯები, ამასთან ერთად უნდა

ითქვას ისიც, რომ კეთილსინდისიერი მფლობელის მიერ გაწეული ხარჯები არ უნდა იქნეს კომპენსირებული ნივთის სარგებლობით ან მისგან მიღებული ნაყოფით. აქედან გამომდინარე, ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნასა, ნივთის სარგებლობასა და ამ ყველაფრიდან გამომდინარე მიღებული ნაყოფის ღირებულებას შორის უნდა არსებობდეს ურთიერთშეფარდება. ამ პროცესში უნდა იქნეს გამოქვითული კეთილსინდისიერი მფლობელის ბრალეულობით მიუღებელი შემოსავალი.[51] კეთილსინდისიერი მფლობელის მიერ გაწეული ხარჯები არ უნდა იყოს ნივთის სარგებლობით მიღებული ან ნაყოფის მიღების შედეგად კომპენსირებული, აქედან გამომდინარე, ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნასა და ნივთის სარგებლობსა და მისგან მიღებული ნაყოფის ღირებულებას შორის უნდა არსებობდეს ურთიერთმიმართება, ამ პროცესში გამოიქვითება ის შემოსავალი, რომელიც კეთილსინდისიერი მფლობელის ბრალეულობით არ იქნა მიღებული.[52] სამოქალაქო კოდექსი, გარდა ნაყოფის თავისუფლად მიღების შესაძლებლობისა, ავალდებულებს და გარკვეულ სამოქალაქო პასუხისმგებლობასაც აკისრებს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეს ნივთის ან უფლების ნაყოფის ბრალეულად არმიღების გამო, მაგალითისთვის, არამართლზომიერ კეთილსინდისიერ მფლობელს უფლება აქვს, უფლებამოსილ პირს მოსთხოვოს იმ გაუმჯობესებისა და ხარჯების ანაზღაურება, რაც გაღებულ იქნა ნივთზე კეთილსინდისიერი მფლობელობის დროს და რაც კომპენსირებული არ არის ამ ნივთით სარგებლობითა და მისგან მიღებული ნაყოფით.[53] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 163-ე მუხლის მე-2 ნაწილის განმარტებისას პრობლემურია ხარჯებსა და გაუმჯობესებას შორის განსხვავება. პირველადი შთაბეჭდილებით, ხარჯებისა და გაუმჯობესების შეპირისპირების საფუძველს, შესაძლოა, წარმოადგენდეს მფლობელის დანახარჯების, როგორც ასეთის და მეორეში_იმ ქონებრივი მსხვერპლის მოაზრება, რომელიც უშუალოდ გამოიხატა ნივთის ღირებულების შენარჩუნებასა და ზრდაში.[54] ამგვარი განმარტება იქნებოდა არასწორი, რადგან ზუსტად ვერ მონიშნავდა თითოეული ცნების მნიშვნელობასა და გამოყენების შემთხვევებს. ღირებულების შენარჩუნება და ზრდა იქნება განპირობებული მფლობელის დანახარჯებით, ხოლო თუ ხარჯებში მხოლოდ ამაო დანახარჯები იქნება მოაზრებული, მაშინ მის გამიჯვნას გაუმჯობესებისგან საერთოდ არანაირი პრაქტიკული დანიშნულება არ ექნება, რადგან ორივე თანაბრად ანაზღაურდება,

[51]ზოიძე ბ. სსკ-ს კომენტარები, სანივთო, ქონებრივი სამართალი, წიგნი ორი, თბილისი, 1999, 67.
[52]თოთლაძე ლ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, gccc.ge თბილისი, 2018; 62.
[53]შოთაძე თ. სანივთო სამართალი, გამომცემლობა ,,მერიდიანი," თბილისი, 2014, გვ. 82-83
[54]რუსიაშვილი გ. სირდაძე ლ. ეგნატაშვილი დ. სანივთო სამართალი, თბილისი, 2019, გვ. 30

გამომდინარე აქედან, უფრო მართებული იქნება სხვა მოსაზრება, რომლის თანახმადაც, ხარჯებში იგულისხმება აუცილებელი ხარჯები, რომლებიც მესაკუთრეს უნდა გაეწია(ნივთის შესანახი ფართის დაქირავების, ავტომანქანის ფარეხის ქირავნობის ღირებულების და ა.შ).[55]

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში საუბარია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 163-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, კერძოდ: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 163-ემუხლის მე-2 ნაწილში მითითებული პირობების განხორციელების შემთხვევაში, კეთილსინდისიერი მფლობელობისას სხვისი ნივთით სარგებლობის შემთხვევაში, თუკი კომპენსირებულია მფლობელის მიერ ნივთზე გაწეული გაუმჯობესება და დანახარჯები, მაშინ კეთილსინდისიერ მფლობელის მოთხოვნას უფლებამოსილი პირისადმი საფუძველი ეცლება, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 163-ე მუხლის მე-2 ნაწილის მესამე წინადადება იმავე წესს ავრცელებს ისეთ გაუმჯობესებაზე, რომელთა შედეგადაც გაიზარდა ნივთის ღირებულება, თუკი გაზრდილი ღირებულება ნივთის დაბრუნების მომენტისათვის ჯერ კიდევ არსებობდა.[56]

დანახარჯებთან მიმართებით, მნიშვნელოვანია ასევე საკასაციო პალატის მოსაზრება, რომლის თანახმადაც, კასატორს უფლება აქვს იმ დანახარჯების ანაზღაურებაზე, რომლებიც მან გასწია ნივთის ფლობის დროს და არა_იმ დანახარჯებზე, რომლებსაც იგი გასწევდა მას შემდეგ, რაც უკვე აღარ წარმოადგენდა ნივთის მფლობელს. [57] 163-ე მუხლითი გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი ფაქტობრივ გარემოებას წარმოადგენს: ძირითადი მოსარჩელე, როგორც ნივთის არაუფლებამოსილი, კეთილსინდისიერი მფლობელი, რა დროიდან ფლობს ნივთს და როდიდან წარმოეშვა მას ნივთის მესაკუთრისათვის დაბრუნების ვალდებულება; კეთილსინდისიერი მფლობელობის დროს გაწია თუ_არა ხარჯები ნივთზე და დადებით შემთხვევაში, რას შეადგენდა ამ ხარჯების ოდენობა, ამასთან, მის მიერ ნივთზე გაწეული ხარჯი არის თუ_არა კომპენსირებული ამ ნივთით სარგებლობითა და ამ სარგებლობით მიღებული ნაყოფით.

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, ასევე განმარტებულია შემდეგი: ,,მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ უდავოდ დადგენილად მიიჩნია, რომ ოჯახის წევრები რამდენიმე წლის განმავლობაში, სადავო ქონებით

[55] რუსიაშვილი გ. სირდაძე ლ. ეგნატაშვილი დ. სანივთო სამართალი, თბილისი, 2019, გვ. 30
[56]სუსგ N ას-63-63-2018 4 მაისი, 2018 წ.
[57]სუსგ N ას-1499-1419-2017, 9 მარტი, 2018 წ.

უსასყიდლოდ სარგებლობდნენ და მრავალი წელი თავად სარგებლობდნენ იმ სიკეთით, რომელიც ქონების რემონტმა და გაუმჯობესებამ გამოიწვია, შესაბამისად, ნივთის გაუმჯობესებაზე გაწეული ხარჯი ამავე ნივთის უსასყიდლოდ სარგებლობით სრულად იქნა კომპენსირებული და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 163-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მოსარჩელის მოთხოვნა უსაფუძვლო იყო.”[58] ამ ყველაფრიდან გამომდინარე, მანამ, სანამ პირს წარმოეშობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 163-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე უფლებები, კარგად არის გასარკვევი, ნამდვილად არის სახეზე ხარჯები და გაუმჯობესებები, ხომ არ გაიქვითა იგი ნივთით სარგებლობით მიღებული შემოსავლით და გვაქვს თუ_არა სახეზე მფლობელის ბრალით მიუღებელი ნაყოფი და ნივთის მფლობელობიდან გასვლის შემდეგ ისევ არის თუ_არა გაუმჯობესება სახეზე.

4.3. მფლობელის ბრალით მიუღებელი ნაყოფის ღირებულების გაქვითვის უფლება

საქართველო სამოქალაქო კოდექსის 163-ე მუხლის მე-2 ნაწილში საუბარია მფლობელის ბრალით მიუღებელი ნაყოფის გაქვითვაზე, კერძოდ, თანახმა ამ დანაწესისა, კეთილსინდისიერ მფლობელს შეუძლია, უფლებამოსილ პირს მოსთხოვოს იმ გაუმჯობესებებისა და ხარჯების ანაზღაურება, რაც მან გაიღო ნივთზე კეთილსინდისიერი მფლობელობის დროს და რაც არ არის კომპენსირებული ამ ნივთით სარგებლობითა და მისგან მიღებული ნაყოფით. მფლობელის ბრალით მიუღებელი ნაყოფის ღირებულება უნდა გამოიქვითოს.
თანახმად ამ დანაწესისა, კეთილსინდისიერი მფლობელის სასარგებლო დანახარჯების მოთხოვნიდან გამოქვითულ უნდა იქნას მის მიერ მიღებული რეალური სარგებელი და ასევე ნაყოფი, ამასთან ბრალეულად მიუღებელი ნაყოფის ღირებულება. ეს გამოქვითვა კი არ წარმოადგენს შესაგებელს, რომელსაც სასამართლო არ ამოწმებს მხოლოდ მეორე მხარის მიერ მისი წარდგენის შემთხვევაში, არამედ, ეს არის სასამართლოს მხრიდან საკუთარი ინიციატივით შესამოწმებელი გარემოება, ესე იგი, ნივთიდან სარგებელი და ასევე მფლობელის ბრალით მიუღებელი სარგებელი ავტომატურად ამცირებს დანახარჯების მოთხოვნის ოდენობას.[59] კეთილსინდისიერ მფლობელს იმის გარდა, რომ შეუძლია, მოითხოვოს ნივთის დაბრუნება, ასევე შეუძლია,

[58]სუსგ N ას-912-852-2017, 10 ნოემბერი, 2017 წ.
[59]რუსიაშვილი გ. სირდაძე ლ. ეგნატაშვილი დ. სანივთო სამართალი, თბილისი, 2019, გვ. 36

მოითხოვოს უფლებამოსილი პირისგან ნივთის გაუმჯობესებისა და ხარჯების ანაზღაურება, აქედან გამომდინარე, ნივთზე გაწეულ ხარჯებში იგულისხმება აუცილებელი ხარჯები, რომელთა გაწევის ვალდებულება ექნებოდა ნივთის მესაკუთრეს, ასეთ ხარჯებად შეგვიძლია, მივიჩნიოთ ნივთის სუბსტანციის ან ვარგისიანობის შესანარჩუნებლად გაწეული ხარჯები.[60] აქედან გამომდინარე, თუკი მფლობელი მისი ბრალეული ქმედების შედეგად ვერ მიიღებს ნაყოფს, ნაყოფის ღირებულება უნდა გამოიქვითოს. ხარჯები, რომლებიც კეთილსინდისიერმა მფლობელმა გასწია, არ უნდა იყოს ნივთის სარგებლობით ან მიღებული ნაყოფით კომპენსირებული, ამ პროცესში უნდა იყოს გამოქვითული კეთილსინდისიერი მფლობელის ბრალეულობით მიუღებელი შემოსავალი.[61]

4.4. კეთილსინდისიერი მფლობელის მიერ ნივთის დაკავების უფლება

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 163-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, კეთილსინდისიერ მფლობელს შეუძლია, უარი თქვას ნივთის დაბრუნებაზე, ვიდრე მისი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება. 163-ე მუხლის მე-3 ნაწილი ამტკიცებს, რომ კეთილსინდისიერ მფლობელს ენიჭება უფლება, არ დაუბრუნოს ნივთი უფლებამოსილ პირს, ვიდრე არ ანაზღაურდება მის მიერ ნივთზე გაწეული ხარჯები. ამასთან, მფლობელს ეკისრება მტკიცების ტვირთი გაწეულ ხარჯებთან მიმართებით.[62]

163-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულია მფლობელის მიერ ნივთის მხოლოდ დაკავებისა და არა მისი მფლობელობის უფლება.[63]ამასთან, ნივთის დაკავების უფლება ნივთის დაკავების და არა_მისი შენარჩუნების უფლებას ანიჭებს მფლობელს.[64] ამ მუხლით გათვალისწინებული დანაწესის სამართლებრივი ბუნება არის კამათის საგანი სასამართლო პრაქტიკაში.[65] ამ მუხლით გათვალისწინებულ დაკავების უფლებაზე მითითებით, ნივთის არდაბრუნება არ არის კანონთან შეუსაბამო.[66]

---

[60]ზოიძე ბ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, სანივთო, ქონებრივი სამართალი, წიგნი 2, თბილისი, 1999 წ. გვ. 67

[61]თოთლაძე ლ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, gccc.ge თბილისი, 2018, 62

[62] იქვე, გვ. 62

[63]რუსიაშვილი გ. სირდაძე ლ. ეგნატაშვილი დ. სანივთო სამართალი, თბილისი, 2019, გვ. 73

[64]იქვე, გვ. 232

[65]BGH NJW 1975, 1121; BGH NJW-RR 1986, 283; BGH NJW 1995, 2628.

[66]Wieling, Sachenrecht I, 2. Aufl., Berlin (u. a.) 2006, 12 I 3a.

მფლობელობასთან დაკავშირებული უფლება და დაკავების უფლება ორ სხვადასხვა სამართლებრივ ინსტიტუტს წარმოადგენს, პირველის შემთხვევაში, სასამართლო ხშირად მოთხოვნას დაუსაბუთებლად მიიჩნევს, ხოლო მეორე შემთხვევაში, ეს იწვევს საპირისპირო მოთხოვნათა ერთდროულად შეუსრულებლობის ვალდებულების დაკისრებას. თუკი ერთ შემთხვევაში, 163-ე მუხლის მე-3 ნაწილი მფლობელობის უფლების მომნიჭებელი იქნებოდა მაშინ, როცა არაუფლებამოსილი ფლობა თავად ამ მოთხოვნის წინაპირობას წარმოადგენდა, ნორმის შედეგი მოვიდოდა კონკურენციაში თავად საკუთარ წინაპირობასთან, შესაბამისად, არაუფლებამოსილი მფლობელი დანახარჯების გაწევის შემდეგ იქცეოდა უფლებამოსილ მფლობელად და აღარ გახდებოდა საჭირო ნივთის დაბრუნება, შესაბამისად, იმავეს გაკეთება იქნებოდა შესაძლებელი ასევე არაკეთილსინდისიერ მფლობელთან მიმართებითაც, აქედან გამომდინარე, 163-ე მუხლის მე-3 ნაწილი ჩათვლილ უნდა იქნეს არა მფლობელობის განმსაზღვრელ არგუმენტად, რაც როგორც ზემოთ ვახსენეთ, მიუღებელი და შეუსაბამო იქნებოდა, არამედ_ უნდა ჩაითვალოს მხოლოდ ნივთის დაკავების უფლებად. [67] აქედან გამომდინარე, კარგად უნდა იქნას განსაზღვრული, ამ მუხლის დანაწესი წარმოქმნის ნივთის ფლობის უფლებას თუ იგი მხოლოდ ნივთის დაკავების უფლებას წარმოქმნის, ვიდრე ,,დამკავებლის“ მართლზომიერი და სამართლიანი მოთხოვნები არ ანაზღაურდება, შესაბამისად, უნდა იქნას გამიჯნული ერთმანეთისგან ეს ორი ზემოთ აღნიშნული ინსტიტუტი და კარგად უნდა იქნას გააზრებული მათ მიერ მოტანილი სამართლებრივი შედეგები.

კანონმდებლობით უფლებამოსილი პირისათვის ნივთის დაბრუნების ვალდებულება ეკისრებათ მართლზომიერ მფლობელებს, თუმცა, მფლობელის კეთილსინდისიერება მფლობელს ანიჭებს ნივთის დაკავების უფლებას, ვიდრე უფლებამოსილი პირი ნივთზე გაწეულ ხარჯებს აანაზღაურებს.[68] რაც შეეხება არამართლზომიერ მფლობელს, მას ასეთი უფლებები არ ენიჭება, შესაბამისად, როდესაც საუბარია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 163-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ უფლებებსა და მოვალეობებზე, ასევე სუბიექტებზე, კარგად უნდა იქნას გამიჯნული, თუ რამდენად მართლზომიერია მფლობელი, რომელიც ახორციელებს ამ მუხლით გათვალისწინებულ ქმედებას. ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, თუკი არამართლზომიერ კეთილსინდისიერ მფლობელს ნივთზე მფლობელობა გადაეცა უსასყიდლო გზით,

[67]რუსიაშვილი გ. სირდაძე ლ. ეგნატაშვილი დ. სანივთო სამართალი, თბილისი, 2019, გვ. 28
[68]შოთაძე თ. სანივთო სამართალი, გამომცემლობა ,,მერიდიანი,“ თბილისი, 2014, გვ. 97

მაგალითისთვის, თუ ნივთის გადაცემის სამართლებრივი საფუძველი ჩუქების ხელშეკრულებაა, რომელიც მოგვიანებით იქნა ბათილად ცნობილი, გარიგების ბათილობის მომენტიდან პირი ვალდებულია, უფლებამოსილ პირს ნივთი ყოველგვარი პირობის გარეშე დაუბრუნოს.[69] ვინაიდან და რადგანაც ჩუქების ხელშეკრულება წარმოადგენს იმ სამართლებრივ ინსტიტუტს, რომელიც მერყეობით ხასიათდება, შესაბამამისად, მასთან მიმართებით კანონმდებლობა მეტ ,,სიმკაცრეს" იჩენს და პირი, რომელსაც ესა თუ ის ნივთი გადაეცა ჩუქების გზით, არ არის დაცული მოცემულ შემთხვევაშიც.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, ნორმაში საუბარია პირზე, რომელიც არ წარმოადგენს მართლზომიერ მფლობელს, ანუ არ გააჩნია ნივთის ფლობის სამართლებრივი საფუძველი ან შემდგომში დაკარგავს მას, მაგრამ ამ ფაქტის მიმართ ის არის კეთილსინდისიერი, ანუ, მასთან საქმიან ურთიერთობაში გულმოდგინე შემოწმების შედეგად არ შეეძლო, გაეცნობიერებინა ურთიერთობის არსებული დეფექტები და მიაჩნდა, რომ ჰქონდა ნივთის ფლობის სამართლებრივი საფუძველი. აღნიშნულ შემთხვევაში, მოსარჩელეს იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე მოპასუხის კუთვნილი უძრავი ქონების ფლობის უფლება ჰქონდა, ხარჯები, რაც მან გასწია, სრულად შეესაბამებოდა იჯარის ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული ხარჯების კონსისტენციას, აქედან გამომდინარე, მას არ ჰქონდა არანაირი სხვა მოთხოვნების წაყენების უფლება, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 163-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი, კეთილსინდისიერ მფლობელს შეუძლია, უარი თქვას ნივთის დაბრუნებაზე, ვიდრე არ დაკმაყოფილდება მისი მოთხოვნები.[70]

უზენაესი სასამართლოს განმარტებით დადგინდა, რომ პირი, რომელიც არის მოპასუხე და რომელთან მიმართებითაც, მოსარჩელეს გააჩნია პრეტენზია, არ არის მართლზომიერი მფლობელი ფართისა, ამასთან, საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა კასატორის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მას სადაო ფართის ფლობის უფლება გააჩნია, ვინაიდან ქალაქის მერიას მისი დავალიანება გააჩნია, აქედან გამომდინარე, აღნიშნული გარემოება არ წარმოადგენს სადავო ფართის ფლობის მართლზომიერი საფუძველს, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 163-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მხოლოდ კეთილსინდისიერ მფლობელს შეუძლია, უარი თქვას ნივთის

[69]შოთაძე თ. სანივთო სამართალი, გამომცემლობა ,,მერიდიანი," თბილისი, 2014, გვ. 97-98
[70]სუსგ N ას-1245-1095-2010, 17 იანვარი, 2011 წ.

დაბრუნებაზე, ვიდრე მისი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება. [71] ამ ყველაფრიდან გამომდინარე დგინდება, რომ ნივთის დაკავების უფლება ნივთის მფლობელობის უფლებისგან არის გამიჯნული და ამასთან, კეთილსინდისიერება არის ის ასპექტი, რომელიც აძლევს მფლობელს უფლებას, დააკავოს ნივთი.

5. მესაკუთრესა და არაუფლებამოსილ მფლობელს შორის ურთიერთობა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 163-164-ე მუხლებით მოწესრიგებულია მესაკუთრესა და მფლობელს შორის ურთიერთობა, კერძოდ, მოწესრიგებულია ის ურთიერთდაპირისპირებული მოთხოვნები, რომლებიც მათ ერთმანეთთან მიმართებით აქვთ. ამ მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები სარგებელსა და დანახარჯებს ეხება. [72] ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმები მიესადაგება ისეთ მესაკუთრესა და არაუფლებამოსილ მფლობელს შორის ურთიერთობას, რომელთა შორისაც არ დადებულა ხელშეკრულება.[73]ამ ნორმების ანალოგად არის მიჩნეული გსკ-ს 987-ე პარაგრაფი, რომელიც იმავე დანაწესებს აწესრიგებს, რომლებსაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 163-ე და 164-ე მუხლები აწესრიგებენ, თუმცა განსხვავება არის ის, რომ გერმანული ინსტიტუტი ეხება მხოლოდ მესაკუთრესა და მფლობელს შორის წარმოშობილ ურთიერთობას, ხოლო საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, აქცენტი გაკეთებულია არა მესაკუთრეზე, არამედ_უფლებამოსილ პირზე.[74]

5.1. არაუფლებამოსილი მფლობელის ვალდებულებები, ნივთისა და ნაყოფის დაბრუნების იძულებითი საშუალებების ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 164-ე მუხლში საუბარია არაუფლებამოსილი მფლობელის ვალდებულებებზე, ნივთისა და ნაყოფის დაბრუნების იძულებით საშუალებებზე, თანახმად ამ ნაწილისა, არაკეთილსინდისიერმა მფლობელმა უფლებამოსილ პირს უნდა დაუბრუნოს, როგორც ნივთი, ასევე მიღებული სარგებელი, ნივთის ან უფლების ნაყოფი.

[71]სუსგ N ას-388-689-05, 26 ოქტომბერი, 2005წ. ქ. თბილისი
[72] BGH NJV 1964,1125
[73] V Caemmer, FS Rabel, 1954, 387
[74]რუსიაშვილი გ. სირდაძე ლ. ეგნატაშვილი დ. სანივთო სამართალი, თბილისი, 2019, გვ. 29

მფლობელი ვალდებულია, აანაზღაუროს ის ნაყოფი, რომელიც მან ბრალეულად არ მიიღო. ნივთზე გაწეული ხარჯები და გაუმჯობესებანი მას შეუძლია მხოლოდ მაშინ მოითხოვოს, თუ მათ ნივთის უკან დაბრუნების მომენტისათვის უფლებამოსილი პირის გამდიდრება მოჰყვა შედეგად. სხვა მოთხოვნები არაკეთილსინდისიერი მფლობელის მიმართ უცვლელი რჩება. ეს ნორმა არეგულირებს არაკეთილსინდისიერი მფლობელის მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას უფლებამოსილ პირთან მიმართებით. გერმანიის სასამართლო პრაქტიკაზე დაყრდნობით, მოგებად, რომელიც უნდა დაბრუნდეს, არ მოიაზრება არაკეთილსინდისიერი მფლობელის მიერ სხვის ნაკვეთზე განხორციელებული სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული ქონება.[75] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 159-ე მუხლის დეფინიციიდან გამომდინარე, საუბარია არაკეთილსინდისიერ პირზე, რომელიც არამართლზომიერად ფლობს ნივთს, ან სავაჭრო გულმოდგინე და ობიექტური შემოწმების საფუძველზე მიჩნეულ იქნა არაუფლებამოსილ პირად. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ არაკეთილსინდისიერი მფლობელის პასუხისმგებლობა, უფლებამოსილ პირთან მიმართებით, არის გამკაცრებული.[76] არაკეთილსინდისიერი მფლობელი არის ვალდებული, დაუბრუნოს ნივთი უფლებამოსილ პირს და მას უფლება არ აქვს, შეინარჩუნოს მიღებული სარგებელი ან ნივთისა და უფლების ნაყოფი. ამასთან, იგი არის ვალდებული, აანაზღაუროს ნაყოფის ის ღირებულება, რომელიც მან არ მიიღო ბრალეულად, მაგალითისთვის, მეურნეობის არასწორად წარმართვის გამო ვერ მიიღო შემოსავალი,[77] ნივთზე გაწეული ხარჯებისა და გაუმჯობესებების ანაზღაურების მოთხოვნა მას აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ამ ქმდებებს უფლებამოსილი პირის გამდიდრება მოჰყვა, უფლებამოსილ პირს შეუძლია, არაკეთილსინდისიერ მფლობელს წაუყენოს მოთხოვნები დელიქტური ვალდებულებებისა და უსაფუძვლო გამდიდრების წესების თანახმად.[78] ზოგად დანაწესად უნდა ითქვას ასევე შემდეგი: საქართველოს კანონმდებლობა სამართლებრივი დაცვის შესაძლებლობას აძლევს მხოლოდ და მხოლოდ კეთილსინდისიერ მფლობელს, ამ წესიდან არსებობს გამონაკლისი, როდესაც არამართლზომიერ არაკეთილსინდისიერ მფლობელს ეძლევა შესაძლებლობა, კონდიქციური სარჩელით მიმართოს უფლებამოსილ პირს, თუკი იმ ეტაპზე, როცა ნივთი უნდა დაბრუნდეს, მის მიერ გაწეულმა ხარჯებმა, ასევე

[75] BGH NJW-RR 2009, 1522

[76] შოთაძე თ. სანივთო სამართალი, გამომცემლობა ,,მერიდიანი,“ თბილისი, 2014, გვ. 63

[77] ზოიძე ბ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 2, 1999, მუხლი 164, გვ. 70

[78] თოთლაძე ლ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, gccc.ge თბილისი, 2018; 63

გაუმჯობესებებმა, უფლებამოსილი პირის უსაფუძვლო გამდიდრება გამოიწვია. [79] ამასთან, კეთილსინდისიერი მფლობელისათვის ნივთის ჩამორთმევა კანონიერი გზით უნდა მოხდეს, კერძოდ, ეს უნდა მოხდეს სასამართლოს მეშვეობით, უკეთესი უფლების მქონე პირის მხრიდან ნივთის დაბრუნების პროცესში კი კანონმდებელი კრძალავს ძალის გამოყენებას, ერთადერთი საფუძველი, როდესაც კანონმდებელი უჭერს მხარს ძალადობით უფლების დაცვას, ეს არის უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევა, დანარჩენ შემთხვევებში, უფლების დაცვა უნდა მოხდეს კანონით დადგენილი წესით, მფლობელობის დაცვის განხორციელება შესაძლებელია ასევე უკიდურეს უფლებასთან მიმართებისასაც, ეს ის შემთხვევაა, როცა ნივთი მოპოვებულ იქნა ძალადობით ან მოტყუების გზით, კანონმდებელი ამ წესით ძალის გამოყენების უფლების დაცვის მიზნით გმობს ძალადობას და იჭერს მფლობელის მხარს, როდესაც უფლების მქონე პირთან მიმართებითაც კი ანიჭებს მფლობელობითი დაცვის საშუალების გამოყენების შესაძლებლობას მხარეს. კეთილსინდისიერ მფლობელს მართლზომიერი მფლობელობის განმავლობაში აქვს უფლება, გამოიყენოს როგორც ვინდიკაციური, ისე ნეგატორული სარჩელი, როგორც მესაკუთრის, ისე_ნებისმიერი მესამე პირის წინააღმდეგ. მფლობელობის დაცვა საკუთრების უფლებისათვის დადგენილი სამართლებრივი საშუალებებით, ვინდიკაციური და ნეგატორული სარჩელების მეშვეობით ხდება.[80]

5.2. ხანდაზმულობა, როგორც მოთხოვნის უფლების განხორციელების პერიოდი

ხანდაზმულობის ზოგადი დანაწესიდან გამომდინარე, რომელიც მოწესრიგებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-129-ე მუხლებით, სხვა პირისგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა, ამასთან, სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს, ხოლო უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა კი შეადგენს 6 წელს. ხანდაზმულობა ის სამართლებრივი ინსტიტუტია, რომლის გასვლის შემთხვევაში, სამართლებრივი ბოჭვა მოპასუხე მხარეს არ გააჩნია და ვალდებულება უკვე ნებაყოფლობითობად გადაიქცევა და არ ატარებს იმ იძულებით ხასიათს, რაც კრედიტორს იცავდა სამოქალაქო

[79]შოთაძე თ. სანივთო სამართალი, გამომცემლობა ,,მერიდიანი,“ თბილისი, 2014, გვ. 105
[80]იქვე, გვ.105-106

ურთიერთობის დროს მანამ, სანამ ხანდაზმულობის ვადა არ გავა, შესაბამისად, ქმედების შესრულება შემდეგ პირის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული და არა_სამართლებრივად შესასრულებლად სავალდებულო დანაწესზე.

იმ შემთხვევაში, თუკი ძველ და ახალ მფლობელს შორის წარმოიქმნება დავა, ამ დავის სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევა სპეციალური ხანდაზმულობის ვადებში არის შესაძლებელი. ძველ მფლობელს ახალ მფლობელთან მიმართებით შეუძლია დაიცვას თავისი მფლობელობა სამი წლის განმავლობაში სასამართლოსთვის მიმართვის გზით, ამის შესახებ საუბარია საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 160-ე მუხლით, მფლობელობის დაცვის ეტაპზე სამართლებრივი დაცვის ფორმის აღრევას განაპირობებს პირთა ნივთთან კავშირი. თუკი დავა გამომდინარეობს მფლობელებს შორის, რომელთაც არ გააჩნიათ ნივთზე უფლება და მათი მოთხოვნა მხოლოდ კანონიერ ინტერესს ეფუძნება, მოქმედებს მფლობელობის დაცვის მიმართ მოქმედი წესები, მაგალითისთვის, თუკი დავა ორ შემძენს შორის მომდინარეობს, რომლებთაც არ წარმოშობიათ შეძენის ეტაპზე ნივთზე საკუთრების უფლება, მფლობელობის დაცვა განხორციელდება მფლობელობის დაცვასთან მიმართებით მოქმედი წესებიდან გამომდინარე, ამასთან, განსხვავებულად არის მოწესრიგებული ძველ და ახალ მფლობელს შორის მფლობელობის დაცვის ხანდაზმულობის ვადა, თუკი ახალ მფლობელს ნივთზე აქვს უფლება, მფლობელობის დაცვის სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა არ მოქმედებს, თუკი მფლობელს მფლობელობის უკეთესი უფლება აქვს, ეს დანაწესიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 160-ე მუხლიდან, შესაბამისად, მფლობელობასთან შედარებით უკეთეს უფლებაში შესაძლებელია, ვიგულისხმოთ, როგორც საკუთრების, ასევე_სხვა ვალდებულებითი ან სანივთო უფლება, რომელიც პირს ნებისმიერ მესამე პირთან მიმართებით ანიჭებს მოთხოვნის წარდგენის შესაძლებლობას. ასეთ შემთხვევაში, ძველი სანივთო სამართალი მფლობელის მიერ ახალ მფლობელთან მიმართებით მოთხოვნის წარდგენაზე იქნება გავრცელებული უფლების დაცვასთან მიმართებით, კანონმდებლობით დადგენილი ხანდაზმულობის ვადიდან გამომდინარე.[81]

საინტერესოა უზენაესი სასამართლოს მსჯელობა ხანდაზმულობასთან მიმართებით: ,,გარემოებების სამართლებრივი შეფასებისას, ინტერესს იწვევს სამოქალაქო კოდექსის 164-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, არაკეთილსინდისიერმამფლობელმა უფლებამოსილ პირს უნდა დაუბრუნოს

[81]ზოთაძე თ. სანივთო სამართალი, გამომცემლობა ,,მერიდიანი,“თბილისი, 2014, გვ. 106-107

როგორც ნივთი, ასევე, მიღებული სარგებელი, ნივთის ან უფლების ნაყოფი. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში არ იკვეთება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 164-ე მუხლის გამოყენების უპირატესობა, რადგან „მიღებული სარგებლის“ დაბრუნება შეუძლებელია, კერძოდ, მოცემულ შემთხვევაში „მიღებულ სარგებელს“ წარმოადგენს სადავო უძრავი ქონებით სარგებლობა, რაც შესაძლებელია გამდიდრების გათანაბრების ოდენობასთან დაკავშირებული სამართლებრივი დანაწესების გამოყენებით, რომლის თაობაზეც აღინიშნა. საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის პრეტენზიას იმ ნაწილში, რომლითაც იგი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მისი მოთხოვნა არასწორად დააკმაყოფილა მხოლოდ ბოლო სამი წლის პერიოდის ფარგლებში. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელის მოთხოვნაზე უნდა გავრცელდეს ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა და სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს სამი წლის ნაწილში.’’[82] აქედან გამომდინარე, ხანდაზმულობის ინსტიტუტი საშუალებას აძლევს უფლებამოსილ პირს, დაიცვას თავისი ინტერესები 3 წლის განმავლობაში, როცა საქმე მოძრავ ნივთს ეხება.

5.3. არაუფლებამოსილი მფლობელის ვალდებულებებთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკა

არაუფლებამოსილი მფლობელის ვალდებულებებთან დაკავშირებით, საქართველოს სასამართლო პრაქტიკა საკმაოდ მდიდარია, განხილულია, როგორც არაუფლებამოსილი მფლობელის უფლებები, ისე_ვალდებულებები, რაც საკითხის ღრმად ჩაწვდომაში დაგვეხმარება, ამასთან დაკავშირებით საინტერესოა უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 164-ე მუხლის თანახმად, არაკეთილსინდისიერმა მფლობელმა უფლებამოსილ პირს უნდა დაუბრუნოს, როგორც ნივთი, ისე_ მიუღებელი სარგებელი, ნივთის ან უფლების ნაყოფი, მფლობელი ვალდებულია, აანაზღაუროს ის ნაყოფი, რომელიც მან ბრალეულად არ მიიღო. ნივთზე გაწეული ხარჯები და გაუმჯობესებანი მას შეუძლია, მხოლოდ მაშინ მოითხოვოს, თუ მათ ნივთის უკან დაბრუნების მომენტისათვის უფლებამოსილი პირის გამდიდრება მოჰყვა შედეგად, სხვა მოთხოვნები არაკეთილსინდისიერი მფლობელის მიმართ უცვლელი რჩება. აღნიშნულ შემთხვევაში,ნორმის წინაპირობად ის გარემოება დასახელდა, რომ ნივთის

[82]სუსგ N ას-838-796-2013 25 მაისი, 2015 წ.

მფლობელი, რომელმაც გასწია ხარჯები და გაუმჯობესებანი, უნდა იყოს არაუფლებამოსილი და არაკეთილსინდისიერი მფლობელობის მიმართ, განსახილველ შემთხვევაში, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელე იყო სადავო უძრავი ქონების არაკეთილსინდისიერი მფლობელი და აკმაყოფილებდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 164-ე მუხლის დეფინიციას.[83] საინტერესოა ასევე სხვა გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც: ,,იმ სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, რისი მიღწევაც მესაკუთრეს სურს, კერძოდ, მოპასუხეების მხრიდან სადავო უძრავი ქონების არამართლზომიერი ჩარევის შედეგად მიღებული სარგებლის ანაზღაურების მოთხოვნა, სსკ-ის 164ემუხლის პირველიწინადადებიდან (არაკეთილსინდისიერმა მფლობელმა უფლებამოსილ პირს უნდა დაუბრუნოს როგორც ნივთი, ასევე, მიღებული სარგებელი, ნივთის ან უფლების ნაყოფი) იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება) გამომდინარეობს. სადავო ნივთის არაკეთილსინდისიერი მფლობელების მოთხოვნა ნივთზე გაწეული ხარჯების ანაზღაურების თაობაზე კი, სსკ-ის 164-ე მუხლის მესამე წინადადებიდან (ნივთზე გაწეული ხარჯები და გაუმჯობესებანი მას შეუძლია მხოლოდ მაშინ მოითხოვოს, თუ მათ ნივთის უკან დაბრუნების მომენტისათვის უფლებამოსილი პირის გამდიდრება მოჰყვა შედეგად) და 987-ე მუხლის პირველი ნაწილიდან (პირს, რომელმაც შეგნებულად ან შეცდომით ხარჯები გასწია მეორე პირის ქონებაზე, შეუძლია მისგან მოითხოვოს თავისი დანახარჯების ანაზღაურება, თუ მეორე პირი ამით გამდიდრდა) შეიძლება გამომდინარეობდეს.'' [84] იმავე პრაქტიკას აწესებს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც: ,,არაკეთილსინდისიერმა მფლობელმა უფლებამოსილ პირს უნდა დაუბრუნოს, როგორც ნივთი, ასევე მიღებული სარგებელი, ნივთის ან უფლების ნაყოფი. მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ მოძრავი თუ უძრავი ნივთების, მათ შორის, საწარმოში წილის სხვა პირის საკუთრებაში გადასვლა უპირობოდ ქმნის ფაქტობრივ და სამართლებრივ წინამძღვრებს ზიანის ასანაზღაურებლად, განსაკუთრებით, თუ მესაკუთრე მისი ნების საწინააღმდეგოდ წლების განმავლობაში ვერ სარგებლობდა ან და ვერ სარგებლობს თავისი საკუთრებით. სასამართლოს მსჯელობით, სადავო(ნების საწინააღმდეგო) ხელშეკრულებების დადებიდან საქმეზე გადაწყვეტილების მიღებამდე პერიოდში საწარმოს

[83]სუსგ N ას-1163-2018 ; 08 თებერვალი, 2019 წ.
[84]სუსგ N ას-182-182-2018 8 მაისი, 2018 წ.

მოძრავი თუ უძრავი ქონება, მისი წილის ღირებულება შეიცვალა და მოსარჩელეები საწარმოში წილების დაბრუნებით ფაქტობრივად მიიღებენ ქონებას გაზრდილი ღირებულებით.[85] "საინტერესოა უზენაესი სასამართლოს მსჯელობა, რომლის თანახმადაც: ,,საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 161-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, თუ კეთილსინდისიერ მფლობელს არ ჩამოერთმევა ნივთი, მაგრამ სხვაგვარად შეეშლება ხელი მფლობელობის განხორციელებაში, მაშინ მას, მსგავსად მესაკუთრისა, შეუძლია, მოითხოვოს ხელის შეშლის აღკვეთა.[86] ხოლო 164-ე მუხლის პირველი წინადადების შესაბამისად, არაკეთილსინდისიერმა მფლობელმა უფლებამოსილ პირს უნდა დაუბრუნოს, როგორც ნივთი, ისე_მიღებული სარგებელი, ნივთის ან უფლების ნაყოფი. ზემოთ მითითებული ნორმების შესაბამისად, მოპასუხე ვალდებულია, უფლებამოსილ პირს(მოსარჩელეს) დაუბრუნოს გამოთავისუფლებული სარდაფი." [87] უზენაესი სასამართლოს განმარტებით, ,,სამოქალაქო კოდექსის 164-ე მუხლის შესაბამისად, არაკეთილსინდისიერმა მფლობელმა უფლებამოსილ პირს უნდა დაუბრუნოს, როგორც ნივთი, ასევე მიუღებელი სარგებელი. საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ ა. კშვილის მიერ ქირის სახით მიღებული თანხა წარმოადგენს მიღებულ სარგებელს და შესაბამისად, უნდა დაუბრუნდეს მფლობელს." [88] ზემოთ აღნიშნულ გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით, არაუფლებამოსილი არაკეთილსინდისიერი მფლობელი ვალდებულია, დააბრუნოს, როგორც ნივთი, ასევე ნივთით სარგებლობით მიღებული ნაყოფი, სასამართლო პრაქტიკა, ამ საკითხთან მიმართებით, მთლიანად იზიარებს მუხლის დანაწესს და ერთგვაროვან პრაქტიკას აწესებს, აღნიშულ საკითხთან დაკავშირებით.

6. უსაფუძვლო გამდიდრება არაუფლებამოსილ მფლობელთან მიმართებით

უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი ის სამართლებრივი ინსტიტუტია, რომელიც მნიშვნელოვან როლს იკავებს იურისპრუდენციაში და ასევე კვეთს სხვადასხვა სამართლებრივ ინსტიტუტს და შესაბამისობაში მოდის მათთან.

უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი მის ცალკეულ გამოვლინებებისა და ანგლო-ამერიუკული სამართლის საერთო შემადგენელი ნაწილია, ის

[85] სუსგ N ას-664-635-2016 2 მარტი, 2017 წ.
[86] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 161
[87] სუსგ Nას-771-1404-033 1 მარტი, 2004 წ.
[88] სუსგ N 3კ/1279-013 აპრილი, 2002 წ.

ფესვებს რომის სამართლიდან იღებს, ცნობილია ასევე ამ პრინციპის კლასიკური ფორმულირება, რომელიც ეკუთვნის რომაელ იურისტს, პომპინიუსს და წარმოდგენილია დიგესტებში: ,,რადგან ეს გამომდინარეობს ბუნებრივი სამართლიანობიდან, რომ არავის აქვს უფლება, გამდიდრდეს სხვისი ზიანის ხარჯზე.“ ამ ფართო ფორმულირების ფარგლებში ეს სხვა არაფერია, გარდა სამართლიანობის ზოგადი წესისა. ამის მიხედვით, განვითარებული ცალკეული მოთხოვნის უფლებებს დღესაც რომის სამართალში გათვალისწინებული საპროცესო სახეების მიხედვით, კონდიქციებს უწოდებენ.[89]

მესაკუთრეს უფლება აქვს, მოსთხოვოს არაუფლებამოსილ მფლობელს, უსაფუძვლო გამდიდრებით მიღებული შემოსავალი, კონდიქციების გამოყენებით. დაბრუნების ვალდებულება არის შემოფარგლული მიმღებთან არსებული გამდიდრებით. [90] უსაფუძვლოდ და უსასყიდლოდ მიღებულის გათანაბრება მაშინ არის მიზანმიმართული, როდესაც მფლობელს ჯერ საპირისპირო შესრულება არ განუხორციელებია. [91] მიმღების მიერ ფულის დაზოგვაც უსაფუძვლო გამდიდრების სამართლით შემოიფარგლება. [92] უსაფუძვლო გამდიდრება, ეს არის ნივთისა და მის შესაქმნელად გამოყენებული მასალის მოპოვება, [93] ნივთი ისე უნდა დაბრუნდეს, რომ კეთილსინდისიერი შემძენი არ დაზარალდეს,[94]თუმცა, რიგ შემთხვევებში, ასე არ ხდება, ამაზე ზემოთაც იყო საუბარი. უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი მნიშვნელოვან ადგილს იკავებს კონტინენტური ევროპის სისტემებში, ის, რასაც შემსრულებელი არანამდვილი ხელშეკრულების საფუძველზე მიმღებს გადასცემს უსაფუძვლოდ, უნდა იქნას დაბრუნებული შესრულების კონდიქციით. მაგალითისთვის, არანამდვილი ხელშეკრულების საფუძველზე, მიმღებმა უნდა გადასცეს გამცემს ნივთი შესრულების კონდიქციით, ამასთანავე სხვის უფლებებში ჩარევის გზით მითვისებულიც მიმთვისებელმა უნდა დააბრუნოს და ეს უნდა მოხდეს შესრულების კონდიქციით. შესრულების კონდიქცია და ხელყოფის კონდიქცია წარმოადგენენ იმ მთავარ იარაღს, რომლებიც ემსახურება უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის ეფექტურობას.[95]

---

[89] შნიტგერი ჰ. შატბერაშვილი ლ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, gccc.ge თბილისი, 2018, 1 .

[90] Honsell H, Drey Fragen des Bereicherungsrecht, FS Schulin, 2002, 30

[91] Staudinger, Lorenz, vor p. 812, Rn. 40

[92] Honsell H, Drey Fragen des Bereicherungsrecht, FS Schulin, 2002, 30

[93] Gursky, in Staudinger BGB, 15, Aufl 2007, p.851, Rn, 28

[94] Protokolle zum BGB 2, 706

[95]რუსიაშვილი გ. ,,ვინდიკაციისა და შესრულების კონდიქციის კონკურენცია არანამდვილი ორმხრივი ხელშეკრულების შედეგების უკუქცევისას“ ,,სამართლის ჟურნალი“, 2013, გვ. 192.

გამდიდრება უნდა დაბრუნდეს იმ ოდენობით, რა ოდენობითაც მიმღები ჯერ კიდევ გამდიდრებულია. რიგ შემთხვევებში, გამდიდრების დადგენა პრობლემურია, მაგალითისთვის, მიმღები ითვლება გამდიდრებულად დაზოგილი დანახარჯებით, თუკი მან დაზოგა ის თანხა, რომლის გაღებაც მას საკუთარი ქონებიდან მოუწევდა. [96] მიმღები არ არის გამდიდრებული იმ დაზოგილი თანხით, თუ მიღებულს ფუფუნების საგნების შესაძენად დახარჯავს, ანუ თანხას გაიღებს იმ მიზნით, რომლის მისაღწევადაც იგი საკუთარ ქონებას არ გაიმეტებდა. [97] ამასთან, არაცალსახაა დადგენა გამდიდრების მოცულობისა, არანამდვილი ხელშეკრულების უკუქცევისას, შესრულების კონდიქცია სხვა კონდიქციური მოთხოვნების მსგავსად, ცალმხრივად ითვალისწინებს შემსრულებლის მიერ მიმღებისგან შესრულების უკან მოთხოვნას, ასევე მის ფარგლებსა და გამომრიცხავ გარემოებებს, მაგრამ არ ითვალისწინებს, თუ როგორ შეიძლება, მოხდეს, მიმღების მიერ გაწეული შესრულების გაქვითვა. ამასთანავე, მდგომარეობა იმ პირისა, რომელიც ასრულებს ცალმხრივად საქმეს და იმ მხარის არგუმენტები, რომელმაც საპირისპირო შესრულების მოლოდინით გასცა ქონება, განსხვავდება ერთმანეთისგან, პირველ შემთხვევაში, არ არის მიუღებელი,რომ მითითებულ იქნას შესრულების კონდიქციაზე, მეორე მხრივ, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე იგივე არგუმენტები არ იქნება გამოსადეგი. [98] ნივთის ან თანხის კანონგარეშე მიღებისას წარმოიშობა ის მოვალეობა, რომლის თანახმადაც, ვალდებულების მიმღები აბრუნებს ქონებას, რომელიც მას გადაეცა, მეორე მხარის საკუთრებაში, აქედან გამომდინარე, ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ უსაფუძვლო გამდიდრების დროს არ არსებობს ხელშეკრულება, რომელიც საფუძვლად დაედებოდა სამართლებრივ ურთიერთობას.[99]

გამომდინარე სახელწოდებიდან უსაფუძვლო გამდიდრების სამართლისა, ყურადსაღებია ის გარემოება, რომელზე დაყრდნობითაც, მატერიალური ფასეულობები თავმოყრილია ქონებრივ სფეროში იმ პირისა, რომელსაც ისინი არ ეკუთვნის, ამასთან არ არსებობს მათი არსებობის არანაირი სამართლებრივი საფუძველი და აქედან გამომდინარე, აუცილებელიც კი არის, რომ ისინი დაუბრუნდეს უფლებამოსილ პირს, ამდენად, მოცემული სამართლებრივი ინსტიტუტი წარმოადგენს ეგრეთ წოდებულ სამართლებრივ დაცვას და იგი

[96]Honsell, Fs Schulin, 2002, 30

[97]რუსიაშვილი გ. უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი 1, შესრულების კონდიქცია, გამომცემლობა ,,იურისტების სამყარო“, თბილისი, 2017, გვ.16

[98]იქვე, გვ. 17

[99]მეტრეველი ვ. რომის სამართლის საფუძვლები ქ.თბილისი, 2009, გვ. 93.

მოწოდებულია იმ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენისკენ, რომლებიც დაირღვეოდა იმ შემთხვევაში, თუკი სამართლებრივი მატერიალური ღირებულებები არასწორად იქნებოდა გადანაწილებული.[100]

ყურადსაღებია ასევე ის ფაქტიც, რომ უსაფუძვლო შეძენა ან უსაფუძლო დაზოგვა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როდესაც პირი სრულიად მართლზომიერად ახორციელებდა თავის ქმედებას და ამაში არანაირი სამართალდარღვევა არ იკვეთებოდა, აქედან გამომდინარე, მაშინ, როცა წარმოიქმნება უსაფუძვლო გამდიდრებიდან ეგრეთ წოდებული ვალდებულება, მნიშვნელობა არ ენიჭება იმას, თუ რა ზარალი განიცადა მოვალემ ან რა არამართლზომიერ ქმედებას მიმართა მან იმ მომენტიდან, როდესაც პირმა გაიგო, ან უნდა გაეგო ის ფაქტი, რომ უსაფუძვლოდ შეძენილი ან უსაფუძვლოდ დაზოგილი ქონების შემდეგ ფლობა ან განკარგვა მოვალის მიერ არამართლზომიერი ქმედების შესრულებად, ესე იგი, სამართალდარღვევად უნდა იქნას ჩათვლილი და საქონელი დაბრუნებულ უნდა იქნეს მესაკუთრესთან, ამასთან, მიუხედავად კეთილსინდისიერებისა, სამართალდარღვევა მაინც გვაქვს სახეზე. [101] უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი საკმაოდ მრავალაზროვანი ინსტიტუტია სამართალმცოდნეობაში და შესაბამისად, მისი რეგულირებაც დიდ მოფრთხილებასა და დაკვირვებას საჭიროებს, ვინაიდან ამ ნორმათა აღრევის შემთხვევევაში, შესაძლებელია, სულ სხვა სამართლებრივი შედეგი დადგეს, იგი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა მოთხოვნის სხვა სამართლებრივი საფუძვლები არ არსებობს, იგი წარმოადგენს კანონისმიერი ურთიერთობის ძირეულ დანაწესს და საშუალებას აძლევს უფლებამოსილ პირს, დაიბრუნოს ის ქონება, რომლითაც არაუფლებამოსილი მფლობელი უსაფუძვლოდ გამდიდრდა.

6.1. შესრულების კონდიქცია

შესრულების კონდიქცია, ეს არის სახელშეკრულებო სამართალთან ახლოს მდგომი ინსტიტუტი, იგი მიიჩნევა მის დანამატად, განსხვავებით ხელყოფის კონდიქციისგან, რომელიც არის საკუთრების და, ზოგადად სამართლებრივი

[100] ჯანაშია ლ. კონდიქციური ვალდებულებანი, ჟურნალი ,,სამართალი“, N10-12, თბილისი, 2004, გვ. 33.
[101] იქვე, გვ. 37.

სიკეთეების დამცავი ინსტიტუტი.[102] შესრულების კონდიქცია არის სხვისი ქონების მიზანმიმართული ზრდა.[103] შესრულების კონდიქცია, გერმანული სამართლის მიხედვით, წარმოადგენს ქონების მიმოცვლის ისეთ ინსტიტუტს, რომელიც ხდება არანამდვილი ხელშეკრულების საფუძველზე.[104] შესრულების მოთხოვნის მარტივი არსი არის არის ის, რომ შესაძლებელია, შესრულება უკან იქნას მოთხოვნილი, თუ შესრულების ვალდებულება არ არსებობს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 976[105] -ე მუხლი შესრულების კონდიქციასთან ერთად ასევე შეიცავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 977-078-ე მუხლებით გაწერილ მოთხოვნათა საფუძველსაც. შესრულების კონდიქციის მიზანია, ერთმანეთისაგან განცალკევებული უფლებები შეუსაბამოს ერთმანეთს.[106] ამის გამო იგი არის მიჩნეული სამართლებრივი სიკეთეების დამცავ ინსტიტუტად.[107] გერმანული სამართლის თანახმად, ვალდებულებითი და სანივთო გარიგებათა ნამდვილობა გამიჯნულია ერთმანეთისგან, ამ პრინციპზე დაყრდნობით, შესაძლებელია, სამართლებრივი ბრუნვის ფარგლებში კონკრეტული პირისათვის მიკუთვნების საშუალების არსებობა.[108] მიზანი, რომელიც მხარეთა მიერ არის დასახული, არ არის სანივთო განკარგვის ნაწილი ორივე მიზანი ისე არის ერთმანეთისგან დაშორებული, რომ ერთმანეთის ნამდვილობაზე ზეგავლენას ვეღარ ახდენენ.[109] გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 812[110]-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის თანახმად, ეს ისეთი გადანდობის უკუქცევის ინსტრუმენტია, რომელიც ხდება არანამდვილი ვალდებულებითი, მაგრამ ნამდვილი სანივთო ხელშეკრულების საფუძველზე.[111],,ის, თუ რა გზით და რა მოცულობით უნდა განხორციელდეს უსაფუძვლო გამდიდრების გადაცემა, მოწესრიგებულია 979-ე - 981-ე მუხლებში. აქედან გამომდინარე თვითონ ეს მუხლები არ წარმოადგენს უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლების საფუძვლებს. გამდიდრებულის პასუხისმგებლობა იმ

---

[102] რუსიაშვილი გ. უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი 1, შესრულების კონდიქცია, გამომცემლობა ,,იურისტების სამყარო", თბილისი, 2017 გვ. 25

[103] შნიტგერი ჰ. შატბერაშვილი ლ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, gccc.ge თბილისი, 2018. გვ. 22.

[104] V. Gierke, Deutsches Privatrecht, P, 3, 995.

[105] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 976

[106] V.Gierke, Deutsches Privatrecht P, 3. 995.

[107] Wilburg, ungerechtfertigte Bereicherung, 27.

[108] შნიტგერი ჰ. შატბერაშვილი ლ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი 3, კარი 2, თბილისი, 2018. 22.

[109] Reuter Martinek, Ungerechtfertigte Bereicherung, p. 4 I 2.

[110] BGB Paragraph 812

[111] რუსიაშვილი გ, უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი 1, შესრულების კონდიქცია, გამომცემლობა ,,იურისტების სამყარო", თბილისი, 2017, გვ. 25

მომენტიდან არის გაძლიერებული, როდესაც იგი 981-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად არაკეთილსინდისიერად ჩაითვლება ან მის წინააღმდეგ მიღებულია სასამართლო წარმოებაში სარჩელი უსაფუძვლო გამდიდრების დაბრუნების შესახებ და მან იცის ამის შესახებ. მისი პასუხისმგებლობის მოცულობის საკითხი დგება 981-ე მუხლის შესაბამისად. კეთილსინდისიერი პირი კი, ვის წინააღმდეგაც არ არ არის შეტანილი სარჩელი, პასუხს აგებს 979-ე და 980-ე მუხლების შესაბამისად.'' [112] აქედან გამომდინარე, შესრულების კონდიქცია არის ის სამართლებრივი ინსტიტუტი, რომლის გამოყენების უფლებაც აქვს მესაკუთრეს მას შემდეგ, რაც ნივთი მისი მფლობელობის არეალიდან გავა და არაუფლებამოსილი მფლობელი უსაფუძვლოდ გამდიდრდება.

6.2. ხელყოფის კონდიქცია

უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის ინსტიტუტს ძალიან მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კონტინენტური ევროპის სამოქალაქო მართლწესრიგებში. ის, რასაც შემსრულებელი მიმღებს გადასცემს უსაფუძვლოდ, მაგალითად არანამდვილი ხელშეკრულების საფუძველზე რაც გადაიცემა, მიმღებმა უნდა დაუბრუნოს გამცემს შესრულების კონდიქციის მეშვეობით. ასევე სხვის უფლებებში ჩარევის გზით მითვისებულიც მიმთვისებელმა უნდა დააბრუნოს ხელყოფის კონდიქციის მეშვეობით. ხელყოფის კონდიქციის პასუხისმგებლობის მასშტაბია ნივთის, ასევე ყველანაირი მოგებისა და სარგებლის მესაკუთრისათვის დაბრუნება. [113] შესრულების კონდიქცია და ხელყოფის კონდიქცია წარმოადგენენ იმ მთავარ და მნიშვნელოვან ინსტრუმენტებს, რომლებიც ემსახურება ქონების უსაფუძვლო მოძრაობის უკუქცევის გზით სამართლიანად უკან დაბრუნებას.[114] მესაკუთრესა და არაუფლებამოსილ მფლობელს შორის ურთიერთობის სამართლებრივი ასპექტექტები პირდაპირპროპორციულად არის დაკავშირებული ხელყოფის კონდიქციასთან. ხელყოფის კონდიქციის საბაზისო დებულება მოცემულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 982-ე მუხლის დანაწესში, საქართველოს

---

[112] შნიტგერი ჰ, შატბერაშვილი ლ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი 3, კარი 2, gccc.ge თბილისი, 2018, 23.

[113] König, Gutachten und Vorschlage zur Uberarbeitung des Schuldrechtes, 1981, 1549

[114] რუსიაშვილი გ. ვინდიკაციისა და შესრულების კონდიქციის კონკურენცია არანამდვილი ორმხრივი ხელშეკრულების შედეგების უკუქცევისას, ,,სამართლის ჟურნალი", 2013 1, გვ. 192.

სამოქალაქო კოდექსის 982-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, პირი, რომელიც ხელჰყოფს მეორე პირის სამართლებრივ სიკეთეს მისი თანხმობის გარეშე განკარგვის, დახარჯვის, სარგებლობის, შეერთების, შერევის, გადამუშავების ან სხვა საშუალებით, მოვალეა, აუნაზღაუროს უფლებამოსილ პირს ამით მიყენებული ზიანი. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ბათილი განკარგვის შემთხვევაში, უფლებამოსილ პირს შეუძლია, ხელმყოფისგან მოითხოვოს დაუყოვნებლივი ანაზღაურება. ხელყოფის კონდიქცია, თავისი ბუნებით ემსგავსება დელიქტური ქმედებით გამოწვეულ ზიანის ანაზღაურების უფლებას.[115] ხელყოფის კონდიქცია, შესაძლოა, განხილულ იქნეს, როგორც დელიქტთა მომწესრიგებელი ნორმების შევსება-განვრცობა. ეს ყველაფერი კი ცხადი ხდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის წაკითხვისას, ისევე, როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის შემთხვევაში, ამ შემთხვევაშიც ადგილი აქვს ჩარევას მესაკუთრის სამართლებრივ სიკეთეში არაუფლებამოსილი პირის მიერ, რაც, როგორც მოგეხსენებათ, სამართლებრივად დაცულია მსგავსი ხელყოფისაგან ნებისმიერ პირთან მიმართებით. უსაფუძვლო გამდიდრებიდან წარმოშობილი მოთხოვნის უფლება არ აყენებს უსაფუძვლო გამდიდრების მოვალის ბრალეული ქმედების წინაპირობას, ვინაიდან და რადგანაც, როგორც სამოქალაქო კოდექსის 982-ე მუხლში, ასევე 992-ე მუხლში სამართლებრივი შედეგი არის ის, რომ უნდა ანაზღაურდეს წარმოშობილი ზიანი.[116] ხელყოფის კონდიქციის წინაპირობებია: არაუფლებამოსილი მფლობელის მიერ ქონებრივი სარგებლის მოპოვება სხვისთვის მიკუთვნებული სამართლებრივი სიკეთის მითვისებით, იმ პირის ხარჯზე, ვისაც მართლწესრიგი აკუთვნებდა ამ სამართლებრივ სიკეთეს შესაბამისი საფუძვლის გარეშე.[117] საკუთრების ხელყოფის გზით მოპოვების საფუძვლად ვერ ჩაითვლება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 195-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, ვინაიდან და რადგანაც ეს დანაწესი ემსახურება მხოლოდ და მხოლოდ კონკრეტული პირისათვის საკუთრების ცალსახად მიკუთვნებას და არა_ ქონებრივი სიკეთის საბოლოო შენარჩუნების საფუძვლის მინიჭებას.[118] საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ნახსენებია სამართლებრივი

---

[115] რუსიაშვილი გ. ვინდიკაციისა და შესრულების კონდიქციის კონკურენცია არანამდვილი ორმხრივი ხელშეკრულების შედეგების უკუქცევისას, ,,სამართლის ჟურნალი", 2013 1 გვ. 192-193

[116] შნიტგერი ჰ. შატბერაშვილი ლ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი 3, კარი 2, მუხლი 982, თბილისი, 2018. 1

[117] რუსიაშვილი გ. ეგნატაშვილი დ. კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, გამომცემლობა ,,იურისტების სამყარო" თბილისი, 2016, გვ. 96-97

[118] რუსიაშვილი გ. სირდაძე ლ. ეგნატაშვილი დ. სანივთო სამართალი, თბილისი, 2019, გვ. 78-79.

სიკეთე, რომლის ხელყოფაც ხდება უსაფუძვლო გამდიდრების მოვალის მიერ ნებართვის ქონის გარეშე. დაცული სამართლებრივი სიკეთე, ეს არის საკუთრება, რომლისთვისაც არის დამახასიათებელი, რომ მისი განკარგვა მხოლოდ მესაკუთრის უფლებას წარმოადგენს და არა_არაუფლებამოსილი პირისას, არაუფლებამოსილი პირის მიერ ქმედების განხორციელება კი პრინციპულად არის გამორიცხული. [119] ასეთი სამართლებრივი დაცვა არაუფლებამოსილი ხელყოფის მხრიდან მოიცავს, უპირველეს ყოვლისა, სანივთო უფლებას, ამას ასევე განეკუთვნება მფლობელობა, რომლის წყალობითაც მფლობელს, როგორც მესაკუთრეს, აქვს სამართლებრივად დაცული მფლობელობითი უფლება. დაცული სამართლებრივი სიკეთეების რიცხვს, გარდა უფლებამოსილი მესაკუთრის მიერ საკუთრების უფლებისა, ასევე განეკუთვნება პიროვნული უფლებები, როგორიცაა სახელის უფლება, რომელიც ასევე აბსოლუტურად არის დაცული ნებისმიერი ხელმყოფის ქმედებისაგან. ზოგადი ასპექტით შესაძლოა, ითქვას, რომ ყველა ქონებრივი სიკეთე დაცულ სამართლებრივ სიკეთეს განეკუთვნება, ვინაიდან ქონება ავტომატურად ეკუთვნის მესაკუთრეს და მფლობელს, ისე, რომ არავის არ აქვს უფლება, მისი თანხმობის გარეშე განკარგოს იგი ან ამ სამართლებრივი სიკეთით ისარგებლოს, [120] მათ შორის არაუფლებამოსილმა მფლობელმა, რომელმაც ხელჰყო საკუთრების უფლება. ხელყოფის კონდიქციის ფარგლებია ღირებულების გამდიდრების სახით არსებობა და ასევე გადახდილი ფასი, როგორც გამდიდრება, რაც თავის მხრივ, ხელყოფის კონდიქციის სამართლებრივ ბუნებაზე მიგვანიშნებს.[121] კანონით დასახელებულია ხელყოფის სხვადასხვა ფორმა, განკარგვაში იგულისხმება ნივთის ან უფლების სამართლებრივად ნამდვილი გადაცემა ან დატვირთვა, ეს არის შესაძლებელი, რომ მოხდეს უფლებამოსილი პირის თანხმობის გარეშე უძრავი და მოძრავი ნივთების შემთხვევაში, იმ შემთხვევაში, თუ სახეზე გვაქვს კეთილსინდისიერი შეძენის წინაპირობების არსებობა. [122] იმ შემთხვევაში, თუკი შემძენმა შეიძინა საკუთრება კეთილსინდისიერად, მაშინ სამართლებრივი გარიგება გამსხვისებელთან წარმოადგენს სამართლებრივ საფუძველს იმისათვის, რომ

[119] შნიტგერი ჰ. შატბერაშვილი ლ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი 3, კარი 2, მუხლი 982, gccc.ge თბილისი, 2018, 2

[120] იქვე, გვ. 3-4

[121] რუსიაშვილი გ. სირდაძე ლ. ეგნატაშვილი დ. სანივთო სამართალი, თბილისი, 2019,გვ. 80-81

[122] შნიტგერი ჰ. შატბერაშვილი ლ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი 3, კარი 2, მუხლი 982, gccc.ge თბილისი, 2018, 4

საკუთრება დარჩეს შემძენთან. [123] ხელყოფა, თავის მხრივ, იმითაც არის საინტერესო, რომ შესაძლოა, მაშინაც იყოს მოცემული, როდესაც სახეზე კანონსაწინააღმდეგო ქცევა არ გვაქვს. მაგალითისთვის, შესაძლოა, მოვიყვანოთ შემთხვევა, როდესაც კრედიტორი ეწევა იმ ქონებრივი ნივთების იძულებით აღსრულებას, რომლებიც არ ეკუთვნის მოვალეს. [124] ზოგჯერ სირთულეს წარმოადგენს დადგენა იმისა, ნამდვილად სახეზეა თუ_არა ხელყოფა [125] გერმანიის უმაღლეს ფედერალურ სასამართლოს ერთ-ერთ საქმესთან დაკავშირებით, უნდა მიეღო გადაწყვეტილება, მართებს თუ_არა ავტომობილის მძღოლს დაცული ავტოსადგომით სარგებლობისათვის ღირებულების გადახდა, თუკი ის პირდაპირ უთითებს, რომ ის არ არის მზად, ავტომობილის მფლობელთან გააფორმოს სარგებლობის ხელშეკრულება, ამ გადაწყვეტილებას წინ უძღოდა ის, რომ ავტომობილის მძღოლს ავტოსადგომი მიაჩნდა საყოველთაო სარგებლობის ქუჩად. [126] ამ შემთხვევაში, ლოგიკურია, რომ იკვეთება ავტომობილის მესაკუთრის მფლობელობითი უფლების სრული ხელყოფა. [127] აქედან გამომდინარე, იმისათვის, რომ მივმართოთ ხელყოფის კონდიქციას, აუცილებელია, სახეზე გვქონდეს სამართლებრივი სიკეთე, რომელიც არის უფლებამოსილი პირის საკუთრება და ეს საკუთრება უნდა იქნას მესამე არაუფლებამოსილი პირის მიერ ხელყოფილი.

7. ვინდიკაციური მოთხოვნა, როგორც უფლებამოსილი მესაკუთრის უფლება და მისი მოკლე მიმოხილვა, უცხოური სამართლის მიხედვით

ვინდიკაცია_ეს არის სხვისი უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის უფლება, თანახმად თანამედროვე შოტლანდიური სამართლისა, ნივთის დაბრუნების ვალდებულება უნდა განხორციელდეს ვინდიკაციის

[123] შნიტგერი ჰ. შატბერაშვილი ლ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი 3, კარი 2, მუხლი 982, gccc.ge თბილისი, 2018, 4.

[124] König, Ungerechtfertigte Bereicherung, in: Gutachten und Vorschläge zur Überarbeitung des Schuldrechts, herausg. vom Bunderminister derJustiz, P. 1552

[125] შნიტგერი ჰ. შატბერაშვილი ლ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი 3, კარი 2, მუხლი 982, gccc.ge თბილისი, 2018, 5

[126] გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილება სამოქალაქო საქმეზე BGH 14.7.1956 -V ZR 223/54, BGHZ 21, 319

[127] შნიტგერი ჰ. შატბერაშვილი ლ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი 3, კარი 2, მუხლი 982, gccc.ge თბილისი, 2018, 5

მეშვეობით.[128] ვინდიკაციას მიმართავენ მაშინ, როდესაც მესაკუთრეს მის საკუთრებაში არსებულ ნივთზე ერთმევა მფლობელობა და შესაბამისად, ასეთ მდგომარეობაში მესაკუთრეს შერჩენილი აქვს მხოლოდ და მხოლოდ ნივთზე საკუთრების უფლება, რაც თავის მხრივ, წარმოადგენს ისეთ უფლებას, რომ მიუხედვად იმისა, მესაკუთრის ხელიდან გასული არის თუ_არა ნივთი, საკუთრების უფლება მესაკუთრეს მაინც რჩება, შესაბამისად, მისი ჩამორთმევა უკანონო გზით შეუძლებელია, ხოლო იმისათვის, რომ მესაკუთრემ საკუთრების უფლების სრული განხორციელება შეძლოს ნივთზე, იყენებენ ვინდიკაციურ მოთხოვნას. ვინდიკაციური მოთხოვნის უფლება მესაკუთრეს წარმოეშობა მაშინ, როდესაც სახეზე გვაქვს ნივთი, იმ შემთხვევაში, თუკი ნივთი განადგურდება, ვინდიკაციურ მოთხოვნას ვერ გამოვიყენებთ და მესაკუთრეს ისღა დარჩენია, უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებზე დაყრდნობით იდავოს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172[129]-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მესაკუთრეს შეუძლია, მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მფლობელს ჰქონდა ამ ნივთის ფლობის უფლება. 172-ე მუხლში, რომაული სამართლის ტრადიციის მიხედვით, წარმოდგენილია სანივთო მოთხოვნის უფლება და მიმართულია საკუთრების უფლების ჩამორთმევის წინააღმდეგ, ვინდიკაციური სარჩელის არსი გამომდინარეობს საკუთრების აბსოლუტური ბუნებიდან.[130] სავინდიკაციო მოთხოვნის უფლებასთან მიმართებით, უპირატესი უფლებით სარგებლობს საკუთრების კეთილსინდისიერად მოპოვებისა და კანონის საფუძველზე საკუთრების მოპოვების წესები. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის თანახმად, მესაკუთრის უფლებამოსილებების განხორციელების წინაპირობა არის ის, რომ მესაკუთრე ფლობდეს ნივთს, აქედან გამომდინარე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიზანია, მესაკუთრის მიერ ნივთზე მფლობელობის მოპოვება, რომელიც დაკარგულ იქნა მესაკუთრის მიერ.[131] სავინდიკაციო და ნეგატორული სარჩელების სახელწოდებები რომის სამართლიდან მომდინარეობს, უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა ნიშნავს სავინდიკაციო სარჩელის წარდგენის შესაძლებლობას.[132] იურიდიულ

[128]Niall R. Whitty,Rationality, nationality and the taxonomy of unjustified enrichment, comparative law of unjustified enrichment, p. 671

[129] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 172

[130]სუსგ N ას-205-198-2012, 6 აპრილი, 2012 წ.

[131]თოთლაძე ლ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, gccc.ge თბილისი, 2018; 79

[132]ჩიტოშვილი თ. ვინდიკაცია, როგორც უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების დაცვის საშუალება, 2012, გვ. 259

პრაქტიკაში არსებული მოსაზრების თანახმად, ვინდიკაცია ეხება სხეულებრივ საგნებს და უნდა ანაზღაურდეს საგნებიდან მიღებული შემოსავალიც, თუმცა არსებობს ასევე ნივთის სამართლებრივი ურთიერთობის სახით მოპოვებული სარგებელი, მაგალითად, ქირავნობის ხელშეკრულების მეშვეობით მიღებული სარგებელი. [133] მესაკუთრის მიერ საკუთრების უფლების დაცვის მიზნიდან გამომდინარე სარჩელის წარდგენის წინაპირობას წარმოადგენს ქონებაზე სანივთო ან ვალდებულებითი ურთიერთობის დარღვრვის შემთხვევა. უფლების დამრღვევ პირთან მიმართებით, მსგავსი მოთხოვნის წარდგენის მიზანს წარმოადგენს ნივთის უკან დაბრუნება ან ხელშეშლის აღკვეთა. მესაკუთრეს უფლების დაცვის შესაძლებლობა გააჩნია, ხოლო მოთხოვნები, რომლებიც საკუთრების უფლების დარღვევის საფუძველზე წარმოიშობა, ემსახურება ქონების დაბრუნებას, ესე იგი, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენასა და მესაკუთრისათვის ნივთის უკან მფლობელობაში გადაცემას. საკუთრების უფლების ხელყოფის ფაქტი არ იწვევს საკუთრების უფლების შეწყვეტას, საკუთრების უფლების ხელყოფის შემთხვევაში, მესაკუთრეს უფლება აქვს, გამოიყენოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული საკუთრების უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალებები.[134]

საკუთრების უფლება, ეს არის ის აუცილებელი და მნიშვნელოვანი გარანტი იმისათვის, რომ სახელმწიფომ შეძლოს თავისი დემოკრატიული ინსტიტუტების გატარება საზოგადოების სრული მასშტაბით, ეს კი მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ ჩამოყალიბდეს სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფო, საკუთრების უფლების დაცვა მნიშვნელოვან სამართლებრივ გარანტს წარმოადგენს, ერთი, როგორც სახელმწიფოსთვის, რათა შენარჩუნებული იყოს სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი და მეორე მხრივ, რომ საკუთრების უფლების დაცვა თითოეული ინდივიდისთვის სიმყარისა და პიროვნულობის განცდის აუცილებელ ასპექტს წარმოადგენს, აუცილებელია, არსებობდეს საკუთრების დაცვის ისეთი ინსტიტუტი, როგორსაც წარმოადგენს ვინდიკაცია [135] , ანუ სხვისი უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის მოთხოვნის უფლება, რომელსაც ქართული და არამარტო ქართული სამართალი განამტკიცებს.

უნდა ითქვას, რომ საკუთრების უფლება, ეს არის სამოქალაქო სამართლის მთავარი გარანტი და საკუთრების უფლების გარეშე წარმოუდგენელია,

---

[133] Raff, in Münchener Kommentar zum BGB, 7, Aufl 2017, p.987, Rn. 22

[134]შოთაძე თ. სანივთო სამართალი, გამომცემლობა ,,მერიდიანი,“ თბილისი, 2014, გვ. 139

[135]საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება N2/1-370,382,390,402,404, 18 მაისი, 2007 წ.

ზოგადად სამართლებრივი ურთიერთობების არსებობა. იგი წარმოადგენს უფლებას, რომელიც განმტკიცებულია საქართველოს უზენაესი კანონით_კონსტიტუციით. [136] ,,საკუთრება არის ინსტიტუტი, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოს ეკონომიკურ საფუძველს, რაც შეეხება დემოკრატიულ, სამართლებრივ და სოციალურ სახელმწიფოს, საკუთრების უფლება მისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია, ერთი მხრივ, საკუთრების, როგორც ინსტიტუტის კონსტიტუციურსამართლებრივი გარანტირება, ხოლო მეორე მხრივ, მესაკუთრისათვის, როგორც სუბიექტისთვის, უფლების სამართლებრივი დაცვის საკმარისი საშუალებების მინიჭება მისი ხელშეწყობისა და უზრუნველყოფის გარანტიების შექმნა.[137] საკუთრების უფლების სიმყარის დასაცავად კი სწორედ, ვინდიკაციური მოთხოვნა გამოიყენება, რომელიც ანიჭებს მესაკუთრეს, არაუფლებამოსილი მფლობელისგან ნივთი გამოითხოვოს კანონის ყველა ნორმის დაცვით.

ვინდიკაციური დანაწესისთვის უმნიშვნელოა, მოიპოვა თუ_არა არაუფლებამოსილმა მფლობელმა მესაკუთრისგან ან მესამე პირისგან ნივთი შესრულებით, ასევე მიზანმიმართულად დაეუფლა მას თუ იპოვა იგი ქუჩაში, როდესაც შემძენი ნივთს იძენს მესამე პირისგან სასყიდლის სანაცვლოდ, მისი ინტერესები იმსახურებს განსაკუთრებულ დაცვას, ვინაიდან ის ნივთს მესაკუთრეს უბრუნებს და მის შესაძენად გაცემული სასყიდლის დაბრუნების მხრივ, მესამე პირზე უნდა იყოს სწორედ დამოკიდებული და მისი გადახდისუნარიანობის რისკი უნდა ატაროს, ამდაგვარად, წარმოიქმნება ის მდგომარეობა, როდესაც კეთილსინდისიერი მფლობელი ნივთს აბრუნებს და ეს არაფრით კომპენსირებული არ არის. ვინდიკაცია ემსახურება მესაკუთრისთვის ნივთის დაბრუნებას და არა_ორმხრივ რესტიტუციას, რომელიც იარსებებდა ურთიერთდაპირისპირებული შესრულებების მიმოცვლის გარეშე, აქედან გამომდინარე, ვინდიკაციის ცალმხრივი ბუნების გათვალისწინებით, უმნიშვნელოა, მესაკუთრემ თვითონ გასცა ნივთი, თუ არა და მიიღო თუ არა ამისთვის საპირისპირო შესრულება.[138]

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ვინდიკაციურია სარჩელი, როდესაც ქონების არამფლობელი მესაკუთრე სარჩელით ითხოვს მფლობელი

---

[136] მიქავა ლ. ვინდიკაციური სარჩელი, როგორც სანივთო უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალება, ჟურნალი ,,მართლმსაჟლება და კანონი“ N1(28)11, გვ. 72

[137] იქვე გვ. 72-73

[138] რუსიაშვილი გ. უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი 1, შესრულების კონდიქცია, გამომცემლობა ,,იურისტების სამყარო“, თბილისი, 2017 გვ. 122

არამესაკუთრის მიერ ამ ქონების დაბრუნებას[139]. გერმანიის სამოქალაქო სამართალში არსებული პრეზუმფციის მიხედვით, მოძრავი ქონების მფლობელი ითვლება მის მესაკუთრედ.[140] ხოლო რაც შეეხება საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსს, მოძრავი ქონების მფლობელობა ერთგვაროვანია მისი უფლებამოსილებისა, ამავენაირად არის ეს სამართლებრივი ურთიერთობა მოწესრიგებული შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსის მოხედვითაც, რომლის თანახმადაც, მესაკუთრეს, რომელიც ახორციელებს ვინდიკაციას ნივთზე, შეუძლია, მიმართოს სხვადასხვა ხერხს, რათა გააქარწყლოს მითითებული პრეზუმფცია და იმის მტკიცება, რომ მოპასუხე არის ამ ქონების მფლობელი, უპირველეს ყოვლისა, მესაკუთრეს აქვს საკმარისი საშუალება იმისა, რომ ამტკიცოს, რომ მოპასუხის მიერ განხორციელებული მფლობელობა არ შეესაბამება მოთხოვნებს, რომლებსაც ითვალისწინებს კანონი მფლობელობის დაცვაზე.[141] მაშასადამე, ვინდიკაციური მოთხოვნის უფლება მესაკუთრეს მაშინ წარმოეშობა, როცა ნივთი მისი მფლობელობიდან უკანონოდ გავა და ვინდიკაცია არის სწორედ ის დანაწესი, რომლის დახმარებითაც სამართლებრივი ბალანსი აღდგება.

8. ნეგატორულ სარჩელთან დაკავშირებული ასპექტები

ნეგატორული სარჩელის სახელწოდება რომის სამართლიდან მომდინარეობს და დასაბამიდანვე იღებს საფუძველს.[142] ნეგატორული სარჩელი დაფუძნებულია იმ გარემოებაზე, რომლის თანახმადაც, მესაკუთრე ნივთზე პირდაპირ მფლობელობას განაგრძობს, თუმცა მას ხელი ეშლება საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებაში.[143] საკუთრების ხელყოფა ან სხვაგვარი ხელშეშლა წარმოადგენს საკუთრების შინაარსში საწინააღმდეგო ჩარევას.[144] საკუთრების ხელშეშლა გამოწვეული უნდა იყოს ადამიანის მიერ განხორციელებული ქმედების შედეგად, ხელმშეშლელი არის პირი, რომელიც თავისი ქმედებით ან უმოქმედობით გამოიწვევს საკუთრების ხელყოფას ან

[139] BGB Paragraph 984-1004

[140]მიქავა ლ. ვინდიკაციური სარჩელი, როგორც სანივთო უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალება, ჟურნ. ,,მართლმსაჟლება და კანონი“ N1(28)11, გვ. 76

[141]იქვე, გვ. 76-77

[142]შოთაძე თ. სანივთო სამართალი, გამომცემლობა ,,მერიდიანი,“ თბილისი, 2014, გვ. 139

[143]იქვე, გვ. 140

[144]Bassenge, Palandt BGB Kommentar, 75. Aufl, P. 1004, Rn. 6.

ხელშეშლას.[145] ნეგატორული სარჩელის წარდგენის წინაპირობებს წარმოადგენს შემდეგი: ნივთზე ხელყოფის განხორციელება წარმოადგენს განგრძობით ხასიათს ან ხელმყოფი პირის მიერ ხელყოფის განხორციელება ხდება არაერთგზის, ამასთან, ნივთზე ხელშეშლის განხორციელებისას ხელმყოფ პირს არ გააჩნია ქმედების განხორციელების უფლება, ამასთან, ნივთი არ არის გასული მესაკუთრის პირდაპირი მფლობელობიდან და უფლებამოსილ პირს შეზღუდული აქვს ნივთის მფლობელობისა და სარგებლობის შესაძლებლობა. იმ დანაწესიდან გამომდინარე, რომ სანივთო უფლება ნივთს გადაჰყვება, ნივთის განადგურება იწვევს სანივთო უფლების შეწყვეტას, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნივთის ღირებულების კომპენსირების მოთხოვნის უფლება არ არის სახეზე. ნივთის არარსებობა გავლენას ახდენს სასარჩელო მოთხოვნის ჩამოყალიბებაზე და სანივთო მოთხოვნას ენაცვლება სარჩელი ზიანის ანაზღაურების თაობაზე.[146] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნა არის ნეგატორული სარჩელი ს აღძვრის წინაპირობა და ამ ტიპის სარჩელის განხილვისას სასამართლო მოდავე სუბიექტთა უფლებრივი მდგომარეობის შეუცვლელად სწორად განსაზღვრავს სამოქალაქო უფლების რეალიზაციის წესს.[147] საკუთრების ხელყოფის ან სხვაგვარი ხელშეშლის მოთხოვნა მოიცავს როგორც უძრავ, ისე_მოძრავ ნივთებს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის მე-2 ნაწილით განისაზღვრება ის, რაც გამომდინარეობს საკუთრების უფლებიდან. ნორმა იცავს მესაკუთრის უფლებას, გამორიცხოს მესამე პირების მიერ ნივთზე ზემოქმედება, ნივთის მესაკუთრეს შეუძლია, მოითხოვოს ხელშეშლის მოქმედების აღკვეთა.[148]საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ საკუთრების უფლების ხელყოფა ან სხვაგვარი ხელშეშლა ხდება ნივთის ამოღების ან მისი ჩამორთმევის გარეშე, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია, ხელის შემშლელს მოსთხოვოს ამ მოქმედების აღკვეთა, თუ ამგვარი ხელშეშლა კვლავ გრძელდება, მესაკუთრეს შეუძლია, მოითხოვოს მოქმედების აღკვეთა სასამართლოში სარჩელის შეტანის გზით. მესაკუთრეს შეუძლია, საკუთრების უფლების დარღვევისას სასამართლოს მიმართოს ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნით, ანუ ნეგატორული სარჩელით.[149] თითოეულ მოთხოვნასთან ერთად მესაკუთრეს ასევე შეუძლია, მოითხოვოს

[145]თოთლაძე ლ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, gccc.ge თბილისი, 2018, 86
[146]შოთაძე თ. სანივთო სამართალი, თბილისი, 2014, გვ. 141
[147]სუსგ N ას-103-96-2017 , 31.03.2017
[148]თოთლაძე ლ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, gccc.ge თბილისი, 2018; 84.
[149]შოთაძე თ. სანივთო სამართალი, გამომცემლობა ,,მერიდიანი,“ თბილისი, 2014, გვ. 138

საკუთრების უფლების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.[150] ნეგატორული სარჩელით გათვალისწინებული მოთხოვნის უფლება დამოკიდებულია ნივთზე საკუთრების უფლებაზე და მისი განხორციელების უფლება აქვს მესაკუთრეს. მოთხოვნის უფლების განხორციელების დროს არ აქვს მნიშვნელობა, ნივთის მესაკუთრე ამავდროულად ნივთის მფლობელი არის თუ_არა, ამავდროულად, ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, ნივთის მფლობელებსაც აქვთ მფლობელობის ხელყოფის აღკვეთის მოთხოვნის უფლება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 161-ე მუხლის მიხედვით, მათ მოთხოვნის უფლება არ წარმოეშობათ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის მიხედვით.[151] ნეგატორული სასარჩელო მოთხოვნა მაშინ გვაქვს სახეზე, როცა მესაკუთრის უფლება ირღვევა ისე, რომ ნივთი მისი საკუთრებიდან არ არის გასული, თუმცა მესაკუთრეს ნივთის გამოყენებაში ხელი ეშლება და, შესაბამისად, ამ სამართლებრივი ინსტიტუტის გათვალისწინებით ხდება ხელშეშლის აღკვეთა.

9. მესამე პირის მიერ ნივთის სხვისთვის გადაცემის სამართლებრივი შედეგები

ვინდიკაციური მოთხოვნის უფლების მფლობელია ნივთის მესაკუთრე, ამის შესახებ საუბარია თავად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლში, იგივე ნორმა ანალოგიის პრინციპით გამოიყენება პირობადებული საკურების მფლობელის სასარგებლოდ, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ არ ფლობს საკუთრების უფლებას, იურიდიული ლიტერატურა ასეთ სამართლებრივ მდგომოარეობის სრული საკუთრების უფლების წინარე საფეხურს უწოდებს, ხოლო რაც შეეხება სამოქალაქო კოდექსს, იგი მას სანივთო უფლებად განიხილავს.[152] მესაკუთრეს, როგორც ვინდიკაციური მოთხოვნის უფლების მფლობელს, შეუძლია, გამოითხოვოს არაუფლებამოსილი მფლობელისგან ნივთი, თუმცა, ამ შემთხვევებსაც სამოქალაქო კოდექსი სხვადასხვაგვარად განიხილავს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, შემძენი ხდება ნივთის მესაკუთრე მაშინაც, როცა გამსხვისებელი არ იყო ნივთის მესაკუთრე, მაგრამ შემძენი ამ ფაქტის

[150]საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვისა და ხელშეშლის აღკვეთის შესახებ, 25.07.2007. გვ 3-7
[151]თოთლაძე ლ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, gccc.ge თბილისი, 2018, 85
[152]იქვე, გვ. 80-81

მიმართ კეთილსინდისიერია, კეთილსინდისიერად არ ჩაითვლება შემძენი, თუ მან იცოდა, ან უნდა სცოდნოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე, ამასთან, კეთილსინდისიერების ფაქტი უნდა არსებობდეს ნივთის გადაცემამდე. საქართველოს საამოქალაქო კოდექსის 172[153] -ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, კეთილსინდისიერი შემძენი ვერ გახდება ნივთის მესაკუთრე, თუ ეს ნივთი მესაკუთრემ დაკარგა, მას მოჰპარეს, ან მისი ნების წინააღმდეგ სხვაგვარად გავიდა მისი მფლობელობიდან, ანდა შემძენმა ის უსასყიდლოდ მიიღო, ყურადსაღებია ისიც, რომ ეს შეზღუდვები არ მოქმედებს ფულის, ფასიანი ქაღალდებისა და აუქციონზე გასხვისებული ნივთების მიმართ. კანონმდებელი მნიშვნელოვნად უჭერს მხარს მესაკუთრის ინტერესებს მაშინ, როცა ნივთი მესაკუთრის მფლობელობიდან მისი ნების გარეშე გავიდა, რადგან მას ნივთი სამოქალაქო ბრუნვაში ნებით არ ჩაუშვია.[154]

ფრანგული სასამართლო პრაქტიკა, რომელიც უზრუნველჰყოფს კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესების დაცვას, ითვალისწინებს სპეციალურ ზღვარს მესაკუთრის მიერ ნივთის გამოთხოვაზე, თანახმად საერთო პრინციპისა, ნივთი შეიძლება იყოს გამოთხოვილი მესაკუთრის მიერ მხოლოდ არაკეთილსინდისიერი მფლობელის მიერ, ასეთ მფლობელად იგულისხმება პიროვნება, რომელიც ნივთს მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა ან იცოდა, რომ ნივთს არაუფლებამოსილი პირისგან იცავდა, მაგალითად, შემნახველისგან, რომელიც ნივთს მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა ან ამ პირმა იცოდა, რომ იძენდა ნივთს არაუფლებამოსილი პირისგან. კეთილსინდისიერი მფლობელის უფლებები არის კანონით დაცული ამ ნივთის არამფლობელი მესაკუთრისგან. კეთილსინდისიერად ითვლება პირი, რომელიც მოქმედებს უხეში დაუდევრობით, ანუ მან არ იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა, რომ ნივთი არ ეკუთვნოდა გამყიდველს, გამონაკლისის სახით არის დადგენილი შემთხვევა, როცა ხდება ისეთი ნივთის უკან დაბრუნება, რომელიც გამოსულია მესაკუთრის მფლობელობიდან მისი ნების გარეშე. როდესაც ხდება ნივთის ვინდიკაციური მოთხოვნით გამოთხოვა.[155]აუცილებელია მფლობელობის ნების საწინააღმდეგო დაკარგვა პირდაპირი მფლობელის მიერ.[156] მოძრავი ნივთი, რომელიც კეთილსინდისიერად არის შეძენილი ნებისმიერი პირისგან, არ შეიძლება, გამოთხოვილ იქნეს მესაკუთრის მიერ, იგი ხდება კეთილსინდისიერი შემძენის

[153] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 172
[154] Schreiber, Jura, 2004, 238
[155]მიქავა ლ. ვინდიკაციური სარჩელი, როგორც სანივთო უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალება, ჟურნალი ,,მართლმსაჟლება და კანონი“ N1(28)11, გვ. 77
[156] Schreiber, Jura, 2004, 238

საკუთრება. სახელმწიფოს ასეთი პოზიცია განაპირობებს სახელმწიფოს მისწრაფებებს, უფრო მარტივი გახადოს სამოქალაქო ბრუნვა, ასევე გამორიცხოს შემძენის მიერ ყველა შემთვევაში შემოწმება გამსხვისებლის უფლებამოსილებისა, რაც ხელს შეუშლის სამოქალაქო ბრუნვის განვითარებას, უძრავ ნივთთან დაკავშირებული საქმიანობისას მარტივია, გაიგო გამსხვისებელი ნამდვილად არის ნივთის მესაკუთრე თუ_არა, ხოლო რაც შეეხება მოძრავ ნივთებს, აქ ყველაფერი გამსხვისებლის კეთილსინდისიერებაზეა დამოკიდებული. [157] საერთო წესებიდან კეთილსინდისიერ შემძენთან მიმართებით, კეთდება გამონაკლისი, თუ რა პირობებში დაკარგა მესაკუთრემ ქონება, პირველ შემთხვევაში, თუ ნივთი დაიკარგა მესაკუთრის მიერ, მესაკუთრეს აქვს უფლება, მოსთხოვოს ნივთი კეთილსინდისიერ მფლობელს სამი წლის ვადაში დაკარგვის დღიდან ან ქურდობის დღიდან, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის თანახმად კი მესაკუთრე არის უფლებამოსილი, მოსთხოვოს კეთილსინდისიერ შემძენს პრაქტიკულად ყველაფრის დაბრუნება, რაც მისი ნების გარეშე გავიდა მისი მფლობელობიდან, გარდა საქონლის ვინდიკაციისა, რომელიც შეძენილია საჯარო აუქციონზე. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ასეთ შემთხვევაში, არ არის დაშვებული ნივთის გამოთხოვა მესაკუთრის მიერ. თანახმად ფრანგული სამართლისა, ვინდიკაცია შესაძლებელია ნივთის კეთილსინდისიერი შემძენისგან, მაგრამ იმ პირობით, რომ მას ფულადი ანაზღაურება გადაეცემა ამ ნივთზე, ამასთან, მესაკუთრე უფლებამოსილია, მოითხოვოს საქონლის არა მარტო დაბრუნება, არამედ ნივთის ნაყოფი და შემოსავალი, არაკეთილსინდისიერი მფლობელი ვალდებულია, გადასცეს მას ყველა ნაყოფი და შემოსავალი, რომელიც მას მიღებული აქვს ქონების მართვა-გამოყენების დროს, კეთილსინდისიერ მფლობელს რაც შეეხება, იგი ვალდებულია, გადასცეს ის ნაყოფი და შემოსავალი, რომელიც მიღებულ იქნა იმ დროიდან, როცა მან გაიგო, რომ იყო არაკანონიერი მფლობელი ან მას შემდეგ, რაც წარდგენილი იქნება სასარჩელო მოთხოვნა, თუკი ეს საქონელი მას უსასყიდლოდ გადასცეს, მაშინ იგი ვალდებულია, ნაყოფი და შემოსავალი გადასცეს მესაკუთრეს უსაფუძვლო გამდიდრების წესით. [158] აქედან გამომდინარე, უცხოური სამართლით შედარებით განსხვავებულად წესრიგდება მესაკუთრის მიერ ნივთის დაბრუნების საკითხი, რაც შეეხება ქართულ სამართალს, აქ ნივთის

[157] მიქავა ლ. ვინდიკაციური სარჩელი, როგორც სანივთო უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალება, ჟურნალი ,,მართლმსაჟლება და კანონი“ N1(28)11, გვ. 77
[158]იქვე, გვ. 78

მესაკუთრისთვის უკან დაბრუნება სავალდებულოა მაშინაც, როცა პირი არის კეთილსინდისიერი, თუმცა მას ნივთში ფული არ გადაუხდია, ამასთან, შემძენი ვალდებულია, უფლებამოსილ მესაკუთრეს დაუბრუნოს ნივთი მაშინაც, თუკი უფლებამოსილი მესაკუთრის მფლობელობიდან ნივთი მისი ნების საწინააღმდეგოდ გავიდა.

10. ვინდიკაციისა და კონდიქციის ურთიერთმიმართება და კონკურენცია

კონდიქციური სამართლის მიხედვით, გამდიდრებას წარმოადგენდა მხოლოდ საკუთრების მიღება და კონდიქციური მოთხოვნის ფუნქცია იყო დაკარგული ვინდიკაციის ადგილის დაკავება. [159] თანახმად გერმანული სამართლისა, განხილული იყო მოთხოვნის უფლებათა კონკურენციის სხვადასხვა ფაქტორი, . [160] მოთხოვნათა კონკურენციას, შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს მაშინაც, როცა პრობლემატური სამართლებრივი ურთიერთობა ორზე მეტ პირთან მიმართებით იჩენს თავს. [161] გერმანულ სამართალში ერთ-ერთი ყველაზე რთული გადასაწყვეტი საკითხი იყო მოთხოვნათა კონკურენციის საკითხი. [162]გაბატონებული მოსაზრების თანახმად, ვინდიკაცია და კონდიქცია ერთმანეთთან კონკურენციაში მოდის და ორივე მათგანის გამოყენება არის შესაძლებელი. [163]კონდიქციური სავინის მოსაზრებაზე დაყრდნობით, მხოლოდ სარჩელის მიზნის იდენტურობა მაშინ წარმოადგენს მოთხოვნის უფლებათა კონკურენციის საფუძველს, თუკი ერთი და იმავე მიზნის მიღწევა სხვადასხვა საფუძვლით არის შესაძლებელი. [164] შესაძლოა, ორ სარჩელს ერთი და იგივე მიზანი ჰქონდეს, ამ შემთხვევაში, შეუძლებელია, ორი სარჩელის მრავალგზისი განხორციელება, ვინაიდან ერთი და იგივე მოთხოვნა დაკმაყოფილდება მრავალგზის, რაც ყოვლად მიუღებელია. [165] გერმანულ სამართალში, სანამ ვინდიკაცია შესაძლებელი იყო, კონდიქცია მიუწვდომელი რჩებოდა,[166]თუმცა, გერმანულ სამართალში, უსაფუძვლო გამდიდრებას ერთმნიშვნელოვნად სუბსიდიური როლი არ ენიჭება. [167] თანახმად თანამედროვე გერმანული სამართლისა, მოთხოვნათა კონკურენციად მიიჩნევა ის გარემოება, როცა ერთსა და იმავე გარემოებასთან მიმართებით, არსებობს მოთხოვნის საფუძვლების

---

[159] Stadler, Gestaltungsfreihet und Verkehrsschutz durch Abstraktion, 224

[160] ჩაჩავა ს. მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, ,,თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა," თბილისი, 2010 გვ. 24

[161] Stadler, Gestaltungsfreihet und Verkehrsschutz durch Abstraktion, 225

[162] Schmitt R, die subsidiaritat der Bereicherungsanspüche, 1969, 57

[163] BGB, P. 985, Rn. 24

[164] Windscheid, die Actio des römischen Civilrechts, vom Standpunkt des heutigen Rechts, 1856, S. 34.

[165] Savigny, System des heutigen römischen Rechts, Band 5, 1841, S. 260

[166] Stadler A, Gestaltungsfreiheit und Verkehrsschutz durch Abstraction,1996, 224

[167] Schmitt R, die subsidiaritat der Bereicherungsanspüche, 1969, 96

სიმრავლე. [168] თანახმად გერმანიის სამართლისა, კონკურენციას გამონაკლის შემთხვევებში ენიჭება მნიშვნელობა, მაშინ, როცა ვალდებულებით გარიგებასთან ერთად არანამდვილია ასევე სანივთო გარიგებაც.[169]

ვინდიკაცია და კონდიქცია სხვადასხვა მიზნებს ემსახურება, ეს არის, ერთი მხრივ, რბილი, ხოლო მეორე მხრივ_მკაცრი დამატებითი მოთხოვნა და ამასთანავე, ორივე მოთხოვნა სრულებით გამართლებულია. არანამდვილი ორმხრივი ხელშეკრულების არა მხოლოდ შესრულების, არამედ_ასევე მისგან გამომდინარე დამატებითი შედეგების უკუქცევა უნდა მოხდეს, თანახმად უსაფუძვლო გამდიდრების სამართლისა, რათა ყურადღების მიღმა არ იქნას დარჩენილი შესრულებისა და საპირისპირო შესრულების დამაკავშირებელი მიზეზი, მაშინაც კი, როდესაც ასეთი კავშირი საერთოდ არ არსებობს, რადგან მხოლოდ ცალმხრივი შესრულება გვაქვს სახეზე, მაინც მხოლოდ უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი უნდა იქნას გამოყენებული, ვინაიდან სასყიდლიანი შემძენის პრივილეგირება და უსასყიდლოს მასთან შედარებით, არასახარბიელო მდგომარეობაში ჩაყენება, სწორედ ასეთი ერთ-ერთი პრინციპთაგანია კონდიქციური სამართლისა, ამასთან, ამის გვერდის ავლა არ უნდა მოხდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 163-ე მუხლის 1-ლი ნაწილის გამოყენებითა და მასში განსაზღვრული პასუხისმგებლობის მსუბუქი მასშტაბით.[170]როდესაც ნივთი გადაიცემა სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, წარმოიშობა მისი დაბრუნების ვალდებულებაც, ეს ორივე პრინციპი ეხება, როგორც ვინდიკაციური, ისე_კონდიქციური მოთხოვნების სამართლებრივ ბუნებას, შესაბამისად, ეს ორი ინსტიტუტი ხასიათდება მათთვის დამახასიათებელი სპეციფიკურებით, შესაბამისად, საჭიროა, მათი ერთმანეთთან მიმართების განსაზღვრა. [171] იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა ვინდიკაციური მოთხოვნა, აქ ნაგულისხმებია უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის უფლება, მის მიზანს კი წარმოადგენს ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული ნივთის უკან დაბრუნება, ამისათვის კი სახეზე უნდა იყოს სამი წინაპირობა: მოსარჩელე აუცილებლად უნდა წარმოადგენდეს ნივთის მესაკუთრეს, მესაკუთრე ასევე უნდა იყოს ნივთის მფლობელი და არ უნდა არსებობდეს ნივთის ფლობის არანაირი სამართლებრივი საფუძველი,[172] ხოლო რაც შეეხება კონდიქციას, ამ შემთხვევაში სახეზე გვაქვს ნივთის ან გადამუშავება, ან განადგურება, ან რომელიმე მსგავსი შემთხვევა, ამ დროს არ

---

[168] ჩაჩავა ს. მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, ,,თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,“ თბილისი, 2010, გვ. 26

[169] Bamberger, Roth, Wendehorst, p. 812, Rn. 75.

[170] რუსიაშვილი გ. უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი 1, შესრულების კონდიქცია, გამომცემლობა ,,იურისტების სამყარო“, თბილისი, 2016 გვ.123

[171] რუსიაშვილი გ. ეგნატაშვილი დ, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, გამომცემლობა ,,იურისტების სამყარო“, თბილისი 2016, გვ. 187

[172] ბიჭია მ. კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, გამომცემლობა ,,ბონა კაუზა“, 2016 გვ. 170

გამოიყენება ვინდიკაცია, არამედ გამოიყენება კონდიქცია, ვინაიდან და რადგანაც იმ შემთხვევაში, თუკი აღარ არსებობს ნივთი, ამ შემთხვევაში, აღარ არსებობს არც ნივთზე საკუთრების უფლება, აქედან გამომდინარე ისპობა ვინდიკაციის გამოყენების უფლება, ვინდიკაციის მიზანია ნივთის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვა, ესე იგი მესაკუთრის მიერ არაუფლებამოსილი მფლობელისგან ნივთის გამოთხოვის უფლება, ხოლო კონდიქციის დროს ეს წინაპირობა არ გვაქვს.[173] როდესაც საქმე ეხება ვინდიკაციურ მოთხოვნას, სუბიექტები არიან მესაკუთრე და ნივთის უკანონო(არამართლზომიერი) არაუფლებამოსილი მფლობელი, ამასთან, სავინდიკაციო სარჩელის საგანი არის ნივთი, რომელიც ინდივიდიალური ნიშნით არის განსაზღვრული, ამასთან, როდესაც საქმე ეხება უსაფუძვლო გამდიდრებიდან წარმოშობილ ვალდებულებების სუბიექტებს, ამ შემთხვევაში, სუბიექტები, შესაძლებელია, იყვნენ პირი, რომელსაც მიადგა ზიანი და ასევე_ვითომ კრედიტორი, პირი, ამასთან, პირი, რომელმაც ბათილი ვალდებულება შეასრულა, ან კიდევ სხვა გზით გადასცა მიმღებს ქონებრივი შეღავათი. ამასთან ერთად, დაზარალებულს ასევე შეიძლება წარმოადგენდეს ის პირი, რომლის სამართლებრივი სიკეთეც იქნა ხელყოფილი, ხოლო რაც შეეხება კონდიქციურ ვალდებულებებს, მათს ელემენტებად, შეგვიძლია, მივიჩნიოთ მისი სუბიექტები, ობიექტები, საგანი, შინაარსი, ესე იგი მათი მონაწილეების უფლება-მოვალეობები.[174] როდესაც სახეზეა არაუფლებამოსილი, კეთილსინდისიერი მფლობელი, ვინდიკაციური სარჩელის აღძვრისას მას დაეკისრება მხოლოდ და მხოლოდ იმ სარგებლის ანაზღაურების ვალდებულება, რომელიც მის მიერ მიღებული იქნება მას შემდეგ, რაც მის საწინააღმდეგოდ აღძრული იქნება ვინდიკაციური სარჩელი, ასევე ის სარგებელი, რომელსაც იგი მიიღებს ნივთის ინტენსიური გამოყენების შემდეგ, ხოლო რაც შეეხება სხვა ხარჯების ანაზღაურებას, იგი არ ევალება კეთილსინდისიერ მფლობელს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც მფლობელობა უსასყიდლოდ არის მიღებული, ასეთ შემთხვევაში, თუკი მესაკუთრის მიერ კონდიქციის მაგივრად გამოყენებული იქნება ვინდიკაცია, მას არ ექნება შესაძლებლობა, მოპასუხეს დაუკავშიროს მოთხოვნა, რომელიც უსაფუძვლო გამდიდრებიდან იქნება გამომდინარე.[175]

---

[173] ქოჩაშვილი ქ. მფლობელობა და საკუთრება – ფაქტი და უფლება სამოქალაქო სამართალში, გვ.172

[174] ჯაფარიძე ქ. უსაფუძვლო გამდიდრებით წარმოშობილი ზიანის ცნება, მისი ანაზღაურების წესი და საფუძვლები, ჟურნ. „მართლმსაჯულება“ N2, 2008, გვ. 150

[175] რუსიაშვილი გ. ვინდიკაციისა და შესრულების კონდიქციის კონკურენცია არანამდვილი ორმხრივი ხელშეკრულების შედეგების უკუქცევისას, „სამართლის ჟურნალი“ N 1, 2013, გვ. 197

11. დასკვნა

იმის გათვალისწინებით, რომ მესაკუთრესა და არაუფლებამოსილ მფლობელს შორის ურთიერთობა არის მეტად მრავალაზროვანი სამართლებრივი ინსტიტუტი და მოიცავს, როგორც კეთილსინდისიერ, ისე_არაკეთილსინდისიერ მფლობელს, ასევე_იკვეთება ისეთ სამართლებრივ ინსტიტუტთან, როგორიც არის ვინდიკაცია და უსაფუძვლო გამდიდრება, ვინაიდან და რადგანაც განსხვავებული წესით რეგულირდება, როგორც გაწეული ხარჯის, ისე_მიღებული შემოსავლის საკითხი, არსებითი და აუცილებელია, როგორც თეორიული, ისე_პრაქტიკული თვალსაზრისით, სწორად და ზუსტად იქნას აღქმული და შესწავლილი კონკრეტული სიტუაცია, რათა სწორი ფორმულირება მიეცეს თითოეულ სამართლებრივ მდგომარეობას სწორი შედეგის დადგომისათვის.

აქედან გამომდინარე, აღნიშნული სამართლებრივი ურთიერთობის ზუსტი და კონკრეტული შესწავლა უზრუნველჰყოფს იმას, რომ თითოეულ მხარეს ექნება გაცილებით ზუსტი წარმოდგენა იმ სავარაუდო შედეგებზე, რაც მოჰყვება ამა თუ იმ სამართლებრივ სიტუაციას, რომელიც მესაკუთრესა და არაუფლებამოსილ მფლობელს შორის შეიძლება ჩამოყალიბდეს.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ არაუფლებამოსილ მფლობელთან მიმართებით, სხვისი უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის უფლება_ვინდიკაცია, წარმოიშობა მხოლოდ მაშინ, თუკი ნივთი ჯერ კიდევ არსებობს და იგი არ განადგურებულა, მას შემდეგ, რაც ნივთი განადგურდება, მხოლოდ და მხოლოდ უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების გამოყენების საშუალება დარჩება უფლებამოსილ მესაკუთრეს, ამის ცოდნა თავიდან აგვაცილებს არასწორი საფუძვლით დაყენებულ მოთხოვნას და სამართლებრივ უსწორობას არ ექნება ადგილი, რაც, მოგეხსენებათ, საკმაოდ პრობლემატური საკითხია და აისახება დროისა და ენერგიის ფუჭ ხარჯვაში.

ნაშრომში განხილულ იქნა მესაკუთრესა და არაუფლებამოსილ მფლობელს შორის ურთიერთობა როგორც კეთილსინდისიერი, ისე არაკეთილსინდისიერი მფლობელის შემთხვევაში, ასევე, განხილულ იქნა უსაფუძვლო გამდიდრების სამართლებრივი ასპექტები, შესრულებისა და ხელყოფის კონდიქციების კავშირი მესაკუთრესა და არაუფლებამოსილ მფლობელს შორის ურთიერთობასთან მიმართებით, ამ სამართლებრივი ინსტიტუტების დეტალური ანალიზი აუცილებელია იმისათვის, რომ სწორი და სიღრმისეული ფორმულირება მიეცეს კონკრეტულ შემთხვევას. მესაკუთრესა და

არაუფლებამოსილ მფლობელს შორის ურთიერთობის კვლევისას დადგინდა, რომ მფლობელის კეთილსინდისიერება ფლობის ფაქტთან მიმართებით, არ არის საკმარისი იმისათვის, რომ შენარჩუნდეს მფლობელობა, ამასთან, კეთილსინდისიერების ინსტიტუტიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირდება და აქედან გამომდინარე, საჭიროა, დადგინდეს, პირი აღნიშნულ ფაქტთან მიმართებით, კეთილსინდისიერია თუ_არა.

ყურადსაღებია ისიც, რომ შეუძლებელია მესაკუთრესა და არაუფლებამოსილ მფლობელს შორის ურთიერთობის უნივერსალური დადგენა, ვინაიდან და რადგანაც ყოველი კონკრეტული შემთხვევა სხვადასხვა შეფასების საგანია და სხვადასხვანაირ ანალიზს მოითხოვს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აუცილებელია, განხილულ და გაანალიზებული იქნეს თითოეული დეტალი აღნიშნული ურთიერთობებისა.ამ სამართლებრივი ურთიერთობის სიღრმისეული ანალიზი აუცილებელი და საჭიროა იურისპრუდენციისათვის, ვინაიდან აღნიშნული საკითხი საკმაოდ აქტუალური და მრავლისმომცველია და საჭიროა მისი, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტის სწორი, მიზანმიმართული შესწავლა და გამოკვლევა.

12. ლიტერატურა

სახელმძღვანელოები/მონოგრაფიები/კომენტარები/სტატიები

- კერესელიძე დ. კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ,,ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა“ თბილისი, 2009
- შოთაძე თ. სანივთო სამართალი, გამომცემლობა ,,მერიდიანი,“ თბილისი, 2014
- ზოიძე ბ. ქართული სანივთო სამართალი, თბილისი, 2003
- რუსიაშვილი გ. სირდაძე ლ. ეგნატაშვილი დ. სანივთო სამართალი, თბილისი, 2019
- თოთლაძე ლ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, www.gccc.ge თბილისი, 2018
- ქოჩაშვილი ქ. მფლობელობა და საკუთრება- ფაქტი და უფლება სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 2013
- ზარანდია თ. სანივთო სამართლის საფუძვლები, გამომცემლობა ,,საქართველოს მაცნე“ თბილისი, 2016
- ქოჩაშვილი ქ. მფლობელობა და საკუთრება- ფაქტი და უფლება სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 2013
- ჭეჭელაშვილი ზ. სანივთო სამართალი, 2010
- ჩაჩავა ს. მოთხოვნისა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია, ,,თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, თბილისი, 2010
- ზოიძე ბ. სსკ-ს კომენტარები, სანივთო, ქონებრივი სამართალი, წიგნი ორი, თბილისი, 1999
- ჩიტოშვილი თ. ვინდიკაცია, როგორც უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების დაცვის საშუალება, 2012
- მიქავა ლ. ვინდიკაციური სარჩელი, როგორც სანივთო უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალება, ჟურნ.მართლმსაჟლება და კანონი N1(28)’11
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვისა და ხელშეშლის აღკვეთის შესახებ, 25.07.2007

- ბიჭია მ. კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, გამომცემლობა ,,ბონა კაუზა“, 2016
- ჯაფარიძე ქ. უსაფუძვლო გამდიდრებით წარმოშობილი ზიანის ცნება, მისი ანაზღაურების წესი და საფუძვლები, ჟურნ. „მართლმსაჯულება“ N2, 2008
- რუსიაშვილი გ. უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი 1, შესრულების კონდიქცია, გამომცემლობა ,,იურისტების სამყარო“, თბილისი,2017
- რუსიაშვილი გ. ,,ვინდიკაციისა და შესრულების კონდიქციის კონკურენცია არანამდვილი ორმხრივი ხელშეკრულების შედეგების უკუქცევისას“ სამართლის ჟურნალი, 2013
- მეტრეველი ვ. რომის სამართლის საფუძვლები ქ.თბილისი, 2009
- შნიტგერი ჰ. შატბერაშვილი ლ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, gccc.ge თბილისი, 2018
- რუსიაშვილი გ. ეგნატაშვილი დ, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, გამომცემლობა ,,იურისტების სამყარო“, თბილისი 2016
- გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილება სამოქალაქო საქმეზე BGH 14.7.1956 -V ZR 223/54, BGHZ 21,319
- ჯანაშია ლ. კონდიქციური ვალდებულებანი, ჟურნალი ,,სამართალი“, N10-12, თბილისი, 2004
- Honsel Fs. Schulin 2002
- ABGB-Kommentar, 2007
- Protokolle zum BGB 2
- V Caemmer, FS Rabel, 1954
- Coing, Europaisches Privatrecht 2, 19, Jahrhundert 1985
- Wieling, Sachenrecht I, 2 Aufl. Berlin
- Schmitt R, die subsidiaritat der Bereicherungsanspüche, 1969
- 28 Bassenge, in Palandt BGB Kommentar, 63. Aufl.
- Bassenge, Palandt BGB Kommentar
- BGH NJW 1991
- Gursky, in Staudinger BGB, 15, Aufl, 2007
- König Gutachten und Vorschlage zur Uberarbeitung des Schuldrechtes, 1981
- Wolf/wellenhofer sachenrecht
- Staudinger, Lorenz, vor
- Ellger, Bereicherung durch Eingriff, Tübingen 2002, 225; Larenz/Canaris, Lehrbuch des Schuldrechts, Band II, Besonderer Teil, 13. Auflage, 1994

- König, Ungerechtfertigte Bereicherung, in: Gutachten und Vorschläge zur Überarbeitung des Schuldrechts, herausg. vom Bunderminister derJustiz
- Schreiber, Jura, 2004
- Niall R. Whitty, Rationality, nationality and the taxonomy of unjustified enrichment, comparative law of unjustified enrichment
- Wilburg, ungerechtfertigte Bereicherung
- Windscheid, die Actio des römischen Civilrechts, vom Standpunkt des heutigen Rechts
- Stresemann, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl 2015
- Bamberger, Roth, Wendehorst
- Savigny, System des heutigen römischen Rechts, Band 5
- Puchta, Pandekten
- Stadler, Gestaltungsfreihet und Verkehrsschutz durch Abstraktion
- V. Gierke, Deutsches Privatrecht

სასამართლო გადაწყვეტილებები:

- სუსგ Nას-948-910-2014 14 აგვისტო, 2015
- სუსგ N ას-524-493-2012; 4 ოქტომბერი, 2012
- სუსგ N ას-63-63-2018 4 მაისი, 2018
- სუსგ N ას-1499-1419-2017, 9 მარტი, 2018
- სუსგ N ას-912-852-2017, 10 ნოემბერი, 2017
- სუსგ N ას-1245-1095-2010, 17 იანვარი, 2011
- სუსგ N ას-388-689-05, 26 ოქტომბერი, 2005
- სუსგ N ას-838-796-2013 25 მაისი, 2015
- სუსგ N ას-1163-2018 ; 08 თებერვალი, 2019
- სუსგ Nას-182-182-2018 8 მაისი, 2018
- სუსგ Nას-664-635-2016 2 მარტი, 2017
- სუსგ ას-771-1404-0331 მარტი, 2004
- სუსგ 3კ/1279-013 აპრილი, 2002
- სუსგ N ას-205-198-2012, 6 აპრილი, 2012
- სუსგ N ას-103-96-2017 , 31 მარტი, 2017
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება N2/1-370,382,390,402,404,18 მაისი, 2007 წელი.